# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.




დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 13 ივლისი, 2012 წელი.

№133 (7009)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## ბიძინა ივანიშვილმა მაჟორიტარობის კანდიდატები წარადგინა



2

## შე(უ)სრულებადი მისია, ანუ რა სარგებლობა მოაქვს... ხელისუფლებას?!



3

## „ვამბობ პარტიას, ვგულისხმობ ლენინს!“

4

## სააკაშვილი, როგორც ჩანს, პუტინს არ მიბაძავს

8

## „ქართუ ბანკიდან“ ივანიშვილის ჯარიმის ამოღებას მინიმუმ 5 წელი დასჭირდება

5

### იუზა ჩაკვეტაძე

## მამული გთხოვს ამხედრებას

9

ნისლი ჯანღის ამქარია,
ზეცას მზერა დაუბინდეს,
დაუდევარს, თავქარიანს
ნუ მიჰყავთ მამულის ბედს.

## სპორტსმენები სამოქალაქო დაპირისპირების საშიშროებაზე ალაპარაკდნენ

10

## ილია მეორე: შეგიძლიათ ბევრი ილაპარაკოთ პროგრამაზე, მაგრამ არ უნდა ესროლოთ ერთმანეთს ტალახი



**ამის შესახებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ პეტრე-პავლობის დღესასწაულთან დაკავშირებით სამების საკათედრო ტაძარში ქადაგებისას ბრძანა.**

**უწმინდესმა მოუწოდა დაპირისპირებულ მხარეებს, საარჩევნო პერიოდში ერთმანეთს შეურაცხყოფა არ მიაყენონ.**

პატრიარქმა ქადაგებისას ბრძანა, რომ დღეს ძალიან დიდი დღესასწაულია. მან მრევლს კიდევ ერთხელ შეახსენა წმინდა პეტრე და პავლე მოციქულების ცხოვრებისეული ეპიზოდები. უწმინდესმა ბრძანა, რომ წმინდა მოციქულები ფაქტობრივად, ერთმანეთის მტრები იყვნენ, თუმცა ორივე მათგანი ეძიებდა ჭეშმარიტებას. წმინდა პავლე მოციქული მართლმადიდებლობაში მისვლამდე მართლმადიდებლებს დევნიდა. იგი უფალმა სასწაულებრივად მოაქცია, რადგან იცოდა, რომ დიდი მოღვაწე გახდებოდა.

უწმინდესმა ბრძანა, რომ ასე ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც ხდება. პატრიარქმა ბრძანა, რომ ხშირ შემთხვევაში ერთი ადამიანი მეორეს ვერ უგებს, მისი გონება დახშულია და ისინი სხვადასხვანაირად ფიქრობენ. უწმინდესის თქმით, არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ადამიანი სიყალბეს ამბობს და ვისაც ესაუბრება, მან იცის ამის შესახებ, თუმცა პირდაპირ სიმართლეს ვერეუბნება, რადგან მისი ეშინია.

**„რთული პერიოდი გველოდება საქართველოში. ოქტომბრის თვეში ხალხი საპარლამენტო არჩევნებზე უნდა გავიდეს და ხმა მისცეს. დგება ის დრო, როდესაც შესაძლოა, ადამიანს შეურაცხყოფაც კი მიაყენონ, ტალახი ესროლონ ერთმანეთს. მინდა ვთხოვო ერთ მხარესაც და მეორესაც, რომ შეურაცხყოფა არ მიაყენოთ ერთმანეთს, არ უნდა გაბედოთ, არ უნდა იკადროთ ისეთი სიტყვების თქმა, რომლისაც შემდეგ შეგრცხვებათ. თქვენ შეგიძლიათ ბევრი ილაპარაკოთ თქვენს პროგრამაზე, კონცეფციაზე, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ესროლოთ ერთმანეთს ტალახი. უნდა გაიგოს მთელმა მსოფლიომ, რომ ჩვენ ვართ დიდი კულტურის ქვეყანა და ვისწრაფვით დემოკრატიისაკენ. მე იმედი მაქვს, უფალი მომადლებს საქართველოს მშვიდობას. ეკლესია არის დედა, როგორც დედას არ ემეტება ცუდი შვილისთვის, ისეა ეკლესიაც. ჩვენ ძალიან ხშირად გვსაყვედურობენ, რომ არ ვართ ერთ ან მეორე მხარეს. ჩვენ არავის მხარეს არ ვართ, ჩვენ ქვეყნის მხარეს ვართ“,** — ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქმა ასევე ბრძანა, რომ ვინც არ უნდა იყოს ადამიანი — რომელიმე პარტიის წევრი და თუნდაც მკვლელი, ის ეკლესიის შვილია. მან სთხოვა უფალს, რომ მოგვცეს სალი გონება და გული.



# პარტია „ქართულ ოცნებას“ კოალიციის საარჩევნო სიის 55% უნდა ეკავოს

**პარტიას — „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“, კოალიცია „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის 55% უნდა ეკავოს“, — ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

მისი თქმით, ეს კოალიციის სხვა წევრებთან შეთანხმებული საკითხია, სხვა მხრივ კი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგენა კოალიციის წევრი სხვა პარტიებიდან პროპორციულად მოხდება.

— თუმცა, ეს არ არის ძირითადი და განმსაზღვრელი პრინციპი. თუ ხდება, რომ სხვა პარტიებს ჰყავთ კარგი კანდიდატები, ამ პროპორციასაც ვარღვევთ. თუმცა ამ ეტაპზე ბალანსი დაცულია და მაჟორიტარი კანდიდატების სახით ყველა პარტია არის წარმოდგენილი. პარტიას, რომლის ლიდერიც მე ვარ, კოალიციაში 50%-ზე მეტი უნდა ჰქონდეს და ყველა სხვა პარტია მეტ-ნაკლებად პროპორციულად წარმოდგება, — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

მისივე განმარტებით, კოალიციაც იმ მიზნით შექმნა, რომ ქვეყანას ერთპარტიული პარლამენტი არ მიეღო და მაჟორიტარების წარდგენისასაც ამავე პრინციპით ხელმძღვანელობს.

## ბიძინა ივანიშვილმა მაჟორიტარობის კანდიდატები წარადგინა

**„ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა კოალიციის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარადგინა.** კოალიციის გადაწყვეტილებით, „ქართული ოიცნების“ სახელით მაჟორიტარი დეპუტატობისთვის სიღნაღში **გელა გელაშვილი** იბრძოლებს, დედოფლისწყაროში — **ალექსანდრე თამაზაშვილი,** ლაგოდეხში — **ლუკა კურტანიძე,** ყვარელში — **დავით ქევხიშვილი,** ახმეტაში — **ზურაბ ზვიადაური,** ბორჯომში — **გედევან ფოფხაძე,** ახალციხეში — **გურამ კუტალაძე,** ადიგენში — **ბიძინა გუჯაბიძე,** ასპინძაში — **თემურ მაისურაძე,** ონში — **თამაზ (გია) ჯაფარიძე,** მესტიაში — **ვიქტორ ჯაფარიძე,** თერჯოლაში — **ომარ ნიშნიანიძე,** საჩხერეში — **მანანა კობახიძე,** ვანში — **გოდერძი ტყეშელაშვილი,** წყალტუბოში — **პაატა ზაქარეიშვილი,** ხობში — **გიგა ბუკია,** ჩხოროწყუში — **ლევან იზორია,** ხოლო ბათუმში — **მურმან დუმბაძე.**

ბიძინა ივანიშვილი დარწმუნებულია, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში წარმატებებს მოიპოვებენ.

**ინტერპრესნიუსი**

### მიმართვა

# „მაესტროს“ დამფუძნებლები განმარტავენ...

მიმართვის ადრესატები არიან მედიასაშუალებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი და საერთაშორისო დამკვირვებლები. მიმართვას უცვლელად გთავაზობთ.

**„გავრცელების არეალის გაფართოების მიზნით, ტელეკომპანია „მაესტრომ“ 2012 წლის 3 ივლისს პიარკამპანია დაიწყო სახელწოდებით: „მაესტრო“ ყველა ოჯახში“, რომლის ფარგლებშიც მიმდინარე წლის ზაფხულის განმავლობაში რეგიონების მასშტაბით სატელიტური თეფშების მონტაჟი იგეგმებოდა. პირველი სიმბოლური თეფში სოფელ ხანდაკში 3 ივლისს დამონტაჟდა. 2012 წლის 11 ივლისს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ განცხადება გაავრცელა და „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად“ სასამართლოს „ტელეკომპანია „მაესტროს“ მიერ შემოტანილი ანტენების დაყადაღების“ მოთხოვნით მიმართა. სასამართლომ აღნიშნული შუამდგომლობა ზეპირი მოსმენის გარეშე 2012 წლის 11 ივლისსვე განიხილა და დააკმაყოფილა.**

**საქართველოს პროკურატურა განმარტავს, რომ აღნიშნული ღონისძიებები მიზნად ისახავს წინასაარჩევნო პროცესების დაცვას შესაძლო დანაშაულებრივი ჩარევისაგან და პოლიტიკური პარტიებისა და მოქალაქეების საარჩევნო უფლებებისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფას. ტელეკომპანია „მაესტრო“ აცხადებს, რომ არის დამოუკიდებელი კერძო კომპანია, რომლის ერთადერთი ინტერესი განვითარება და აუდიტორიის გაზრდაა. სატელიტური თეფშების მონტაჟის გადაწყვეტილებაც ტელეკომპანიის ბიზნესგეგმაა და ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მისი შეფერხებით მთავარი პროკურატურა და სასამართლო ხელს უშლის „მაესტროს“, როგორც თავისუფალი მედიასაშუალების ზრდა-განვითარებას და შესაბამისად, საზოგადოების უფლებას ზღუდავს, მიიღოს მრავალფეროვანი ინფორმაცია, რაც არჩევნებამდე 2 თვით ადრე განსაკუთრებით მნიშვნელოვან პრობლემად გვესახება“,** — აღნიშნულია მიმართვაში.

### ბიზნესი

**მცირე და საშუალო ბიზნესის წინაშე საქართველოში უამრავი პრობლემა რომ დგას, ეს, რომ იტყვიან, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს და სიახლე სულაც არ არის. თავად ამ, ასე ვთქვათ, „კალიბრის“ მეწარმეთა გასაჭირს თავი რომ დავანებოთ, ამას მთლიან შიდა პროდუქტში მცირე და საშუალო ბიზნესის წილების მაჩვენებლებიც მოწმობს: მცირე ბიზნესის წილი 6 პროცენტია, საშუალოსი — 10 პროცენტი...**

ადრეც არაერთგზის აღგვინიშნავს, რომ სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესია თავისუფალ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფაქტობრივად ყველა განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნის საშუალო ფენის საზრდო, მაგრამ ჩვენში უკვე რა ხანია, ასეთი მეწარმეობა ვერ გაიმართა წელში, ვერც მის საფუძველზე ჩამოყალიბებული ფენა გაძლიერდა. თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესი ქვეყნის მოსახლეობის მატერიალური და სოციალური ყოფისთვის, ამას განვითარებულ ქვეყნებში მსხვილი და საშუალო ბიზნესის თანაფარდობაც მოწმობს, სადაც პროცენტული მოცულობით პირველი მეორეს მხოლოდ უმნიშვნელოდ უსწრებს, დანარჩენი არეალი კი წვრილ ბიზნესს უკავია.

საქართველოში წარმატებულ ეკონომიკურ რეფორმებზე გაუთავებელი ბაქიბუქის მიუხედავად, რეალური შედეგი, არსებითად, იმით გამოიხატება, რომ უამრავი სფერო (მაგალითად, ენერგეტიკა, ფარმაცევტიკაძ, ფაქტობრივად, უშუალოდ უცხოელი, ანდა ადგილობრივ საქმოსნებს ამოფარებული, მაგრამ არსებითად ასევე უცხოელი მონოპოლისტების ხელში აღმოჩნდა. ამ გარემოებას მმართველ ელიტაში გავლენიანი კლანური დაჯგუფებების არსებობა განაპირობებს, რომელთა მოქმედებები ჯანსაღ კონკრეტულ გარემოს მაქსიმალურად შეზღუდვაზეა მიმართული. აღნიშნულ თეზისს უცხოელ მკვლევართა მონაცემებიც ადასტურებს: კერძოდ, **თავისუფალი კონკურენციის გარემოს მაჩვენებლით 142 გამოკვლეულ ქვეყანას შორის საქართველო... 128 ადგილზე იმყოფება!** აქვე იმასაც დავძენთ, რომ წვრილი და საშუალო ბიზნესის წარმატებით განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაბრკოლება საბანკო სესხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთებია, რითაც კრედიტები ამ ტიპის მეწარმეთათვის უმეტეს შემთხვევაში, თითქმის მიუწვდომელია.

## მრავალმხრივი წინსვლის ილუზია

**მსოფლიოში მეთოთხმეტე ადგილზე... ბოლოდან!**



**საქართველოს კომბანკებისთვის, როგორც ჩანს, ზედმეტი მოგების მიღების გზაზე არანაირი ზღუდე არ არსებობს, რასაც მსოფლიო ბანკის მონაცემებიც მოწმობს. საფინანსო სახსრებს ისინი, საშუალოდ, წლიურ 6 პროცენტად იზიდავენ, ქვეყნის შიგნით კი საშუალო საპროცენტო განაკვეთი 16 პროცენტია, ამდენად, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებითაც კი მარჟა (ანუ სხვაობა) ამ ორ მონაცემს შორის 9,6 პროცენტია. მეტიც: თავად მსოფლიო ბანკის ექსპერტები მთელ რიგ შემთხვევაში გაცილებით მაღალ — 15-პროცენტიან მარჟის მაჩვენებელს ასახელებენ, რაც წარმოუდგენლად დიდია.**

ამასთან, დეპოზიტებზე დაბალი საპროცენტო განაკვეთები საქართველოში კომბანკებისთვის მაქსიმალურ კომფორტს ქმნის, რაც ამ სფეროს წარმატებებს, მის დიდ მომგებიანობას განაპირობებს და რის შესახებაც ასევე ადრეც მრავალჯერ გვითქვამს.

ახლახან შექმნილი დასაქმების სამინისტრომ უკვე დაიწყო სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია, რომელთა რიცხვი, სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებითაც კი, რომლებიც, ექსპერტთა აზრით, მნიშვნელოვნად შემცირებულია, დაახლოებით 17 პროცენტია, ხოლო სხვა გათვლებით, სულ მცირე, ორჯერ მეტი მაინცაა.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საყურადღებოა მცირე და საშუალო ბიზნესის როლი მოსახლეობის დასაქმების მხრივ, რადგან ფაქტობრივი შემოსავლის თვალსაზრისით ამ სექტორებში მომუშავეთა მაჩვენებლები მსხვილ ბიზნესში, ანდა, სულაც, სახელმწიფო მოხელეთა უმრავლესობასთან შედარებით, საკმაოდ მცირეა. **დღესდღეობით მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორებში საქართველოში დასაქმებულთა 44 პროცენტი მუშაობს, როცა ევროკავშირის ქვეყნებში სამუშაო ადგილების წილად მცირე და საშუალო ბიზნესზე დაახლოებით 60 პროცენტი მოდის, ხოლო მათი წლიური ბრუნვა (წლევანდელი მონაცემებით) 67 პროცენტია!**

თქმა არ უნდა: ახალი ბიზნესის წამოწყება საქართველოში ამჟამად არანაირი სირთულე არ არის, მაგრამ მისი წარმოება და, მით უმეტეს განვითარება, შეუდარებლად ძნელია არა იმიტომ, რომ საქმის წარმართვა თავისთავად გარკვეულ ცოდნას და, გნებავთ, ნიჭს მოითხოვს, არამედ უკვე ნახსენები არაჯანსაღი კონკურენციის, ასევე არასტაბილური კანონმდებლობისა და დრაკონული საფინანსო-სადამსჯელო პოლიტიკის გამო. ეგ კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რომ როცა კაცს ბიზნესი არ წაუვა, „თამაშიდან გასვლას“ დააპირებს და კომპანია თავს გაკოტრებულად გამოაცხადებს, მან ამის გამო დამატებით... სახელმწიფო ბაჟი — 5 ათასი ლარი უნდა გადაიხადოს. ამ შემთხვევაში კითხვა „რაში?“ სრულიად რიტორიკულია, რადგან პასუხი ისედაც ცნობილია: ბიუჯეტის შევსებაში.

**ეს კანონი, როგორც ჩანს, საქართველოს ეკონომიკური კანონმდებლობის ნოუ-ჰაუა, რის გამოც უამრავი მცირე თუ საშუალო ფირმა მხოლოდ ქაღალდზე არსებობს, რაც მჩქეფარე საქმიანობის ილუზიას ქმნის.**

**ოთარ ტურაბელიძე**

### წარდგენა

**გუშინ ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“ ბიზნეს სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევის წარდგენა გამართა. წარდგენის პირველი ნაწილი დაეთმო ბიზნესსფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების მიმოხილვას, რის შემდეგაც კვლევის ავტორებმა განიხილეს ამ სფეროში გამოვლენილი პრობლემები და შეკრებილთ გააცნეს რეკომენდაციები. წარდგენის მეორე ნაწილი კი, საგადასახადო და სამეწარმეო დავების განხილვის პრაქტიკას და კვლევის შედეგად გამოკვეთილ პრობლემებს მიეძღვნა.**

**ორგანიზაციის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა არაერთი საკითხი, რომლებიც მეწარმეებს პრობლემებს უქმნის თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაში. ბიზნესის მარეგულირებელ კანონმდებლობაში მრავლადაა ბუნდოვანი ნორმები, რომლის ინტერპრეტაცია შესაძლებელია სხვადასხვანაირად, რაც მეწარმეებს დოკუმენტაციის არასწორად წარმოებისა და დაჯარიმების საფრთხის წინაშე აყენებს.**

## მიმოიხილეს ბიზნესსფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა

**ასევე, ბიზნესის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის შესწავლამ, ამ სფეროში მომუშავე ადამიანთა სამუშაო შეხვედრებმა და „ფოკუსური ჯგუფის“ ანალიზმა გამოკვეთა, რომ ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობა დაწერილია რთული ენით, რომლის სწორად გაგებაც უძნელდება მეწარმეთა უმრავლესობას.**

**ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში ძალიან ხშირად შემჭიდროებულ ვადებში შედის, რაც აფერხებს ბიზნესის წარმოებას. უფრო მეტიც, უმეტეს შემთხვევაში მეწარმე სუბიექტების მიერ კანონში ცვლილებების არცოდნა კანონის უნებლიედ დარღვევის საფუძველი ხდება.**

**რაც შეეხება სამეწარმეო და საგადასახადო პრაქტიკის კვლევას, გამოიკვეთა პრობლემური საკითხები, რომლებიც გადასახადის გადამხდელთ არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს. საგადასახადო ორგანოები, გადასახადის გადამხდელისაგან განსხვავებით, გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან და მას შეუძლია სამივე ინსტანციაში დავა აწარმოოს საფასურის გადაუხდელად, რაც არღვევს მხარეთა თანასწორობასა და შეჯიბრებითობას. სამეწარმეო დავებთან დაკავშირებით კვლევამ ცხადყო, რომ ზოგიერთი საკითხის მიმართ, სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოს შორის შეინიშნება არაერთგვაროვანი მიდგომა, მაშინაც კი, როდესაც ამ საკითხზე დადგენილია უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა. ცნობისათვის, ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ 2011 წლის 1 სექტემბრიდან ახორციელებს პროექტს სახელწოდებით: „ადვოკატირება კომერციული სამართლის გაუმჯობესებისა და იმპლემენტაციისათვის“. პროექტი დააფინანსა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა „სამოქალაქო ინიციატივა დამოუკიდებელი სასამართლოსთვის“. სწორედ ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში მომზადდა „ბიზნესსფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკის“ კვლევა.**

**ნათია ლომია,**
სტუდენტი.

# შე(უ)სრულებადი მისია,

## ანუ რა სარგებლობა მოაქვს... ხელისუფლებას?!

### ფიქრები ახალი სამთავრობო პროგრამის თაობაზე



**წინასაარჩევნო რეჟიმში გადასულ ქვეყანაში კიდევ ერთხელ შეიცვლა მთავრობის შემადგენლობა და მას სათავეში ოდესღაც სახელისუფლებო ვერტიკალის „ხერხემლად“ წოდებული ივანე მერაბიშვილი ჩაუდგა. მთავრობის ახალი შემადგენლობის დასამტკიცებლად, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ მმართველ ძალას საარჩევნო ბრძოლის წარმოება რეალურ კონკურენტულ რეჟიმში უხდება, სასწრაფოდ მომზადდა ახალი სამთავრობო პროგრამა სახელწოდებით „მეტი სარგებლობა ხალხს“.**

პროგრამის მთავარ საკითხად *უმუშევრობის დაძლევა და მოქალაქეთა დასაქმებაა მიჩნეული.* სწორედ **დასაქმებაა ის სიმაღლე, რომლის დაძლევა საქართველოს ხელისუფლებამ რვა წლის მანძილზე ვერაფრით მოახერხა.** – მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ათეული ათასი ჩვენი თანამემამულე გავიდა საზღვარგარეთ სამუშაოს საძებნელად, თითქმის ასი ათასით შემცირდა ქვეყანაში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა, **2003 წლის შემდეგ საქართველოში არა თუ ვერ შემცირდა უმუშევართა რაოდენობა, არამედ გაიზარდა კიდეც როგორც აბსოლუტურად (30 ათასით), ისე შეფარდებით (2003 წლის 11.5%-დან 2011 წლის 15.1%-მდე).**

ახალი სამთავრობო პროგრამა გვპირდება, რომ *უახლოეს ოთხ წელიწადში მოზიდული იქნება 4 მილიარდზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რაც ნიშნავს დამატებით დაახლოებით 80 ათას ახალ სამუშაო ადგილს.* დიდია სურვილი, იმედიანად ვიყოთ, რამეთუ უმუშევრობის პრობლემა უამრავ ქართული ოჯახის მდგომარეობასა და თვით არსებობაზე დამოკლეს მახვილივითაა დაკიდებული. მაგრამ, **მომდევნო ოთხ წელიწადში 4-მილიარდიანი ინვესტიციით 80 ათასი სამუშაო ადგილის შექმნის იმედს აფერმკრთალებს იმის გახსენება, რომ წინა ოთხწლიან პერიოდში (2009-2012 წწ.) 3.5 მილიარდის ინვესტიციამ მხოლოდ 20 ათასი სამუშაო ადგილი შექმნა, ხოლო სამუშაო ადგილების საერთო რაოდენობა ქვეყანაში კი არ გაიზარდა, არამედ 2.2 პროცენტით შემცირდა.**

მომდევნო ოთხ წელზე გათვლილი პროგრამით 40 მილიარდი ლარის საბიუჯეტო სახსრებიდან (ბევრმა ეს ციფრი „ოთხწლეულის“ ბოლო წლის პარამეტრად აღიქვა, არადა 2013-2016 წლების ჯამური მაჩვენებელია მხოლოდ) 9 მილიარდი დაიხარჯება სოციალურ დაცვაზე, ჯანმრთელობის დაზღვევაზე – 3 მილიარდი, განათლებაზე – 4 მილიარდი... მთლიანად, **საბიუჯეტო ხარჯები მომდევნო ოთხ წელიწადში დაახლოებით 1.5-ჯერ მეტი იქნება წინა ოთხწლიან (2009-2012 წწ.) პერიოდთან შედარებით.** სამთავრობო პროგრამით, საბიუჯეტო სახსრების ნახევარი გაიხარჯება სოციალურ დაცვაზე, ჯანმრთელობის დაზღვევაზე, განათლებასა და სოფლის მხარდაჭერაზე. ამასთან, სოციალურ დაცვაზე ხარჯები გაიზრდება 1.6-ჯერ, მათ შორის საპენსიო რესურსები – 1.5-ჯერ, სხვა სოციალური დახმარებები და განათლებაზე ხარჯები – თითოეული 1.8-1.8-ჯერ, ჯანდაცვის ხარჯები – 2.0-ჯერ...

რამდენად „რევოლუციურია“ ასეთი ზრდა, მკითხველმა თავად განსაჯოს. ერთადერთი სერიოზული გარღვევა სოფლის მხარდაჭერის ხაზითაა, სადაც საბიუჯეტო სახსრების მოცულობა 2009-2012 წლების 292 მლნ. ლარიდან 2013-2016 წლებში 4 მილიარდ ლარამდე, ანუ 13.7-ჯერ უნდა გაიზარდოს. სოფლის მეურნეობის მდგომარეობა, შრომის მწარმოებლურობის არსებული დონე, ფეხზე გამობმული ლოდის არ იყოს, დაბლა ეწევა და სერიოზულად აფერხებს როგორც ეკონომიკის განვითარებას, ისე მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას. **სოფლად შრომის მწარმოებლურობა საქართველოს დანარჩენი ეკონომიკის მიხედვით შრომის მწარმოებლურობის 1/10-ზე ნაკლებია, ხოლო ამ დარგის პროდუქციის მოცულობა 2003 წლის დონეს 1/6-ით ჩამორჩება.** სოფლად თვითდასაქმების მაღალი დონე ამცირებს უმუშევრობის ოფიციალურ მაჩვენებელს და მდგომარეობას იმაზე გაცილებით უკეთესად წარმოაჩენს, ვიდრე რეალურადაა (სოფლის მცხოვრებლები სამუშაოს ქალაქებში ეძებენ, მაშინ როდესაც უმუშევრობის დონე, ოფიციალური სტატისტიკით, სოფლად მხოლოდ 6.5%, ქალაქად კი – 26.5%-ია). **შრომის მწარმოებლურობა ამ დარგში ეკონომიკის საშუალო დონის მეოთხედი მაინც რომ იყოს, სოფლის მეურნეობის დოვლათის წარმოებას ამჟამინდელთან შედარებით 0.5 მლნ.-ით ნაკლები დასაქმებული ეყოფოდა.**

რაც უფრო მაღალი იქნება კონკურენციული ბრძოლა პოლიტიკურ ძალებს შორის სახელისუფლებო ოლიმპის დასაკავებლად, საზოგადოება, თითოეული მოქალაქე მით უფრო მოგებული დარჩება, მით უფრო მაღალი იქნება სოციალური ხარჯების წილი ბიუჯეტსა და მთლიან შიდა პროდუქტში.

**ფაქტობრივად, ეს 0.5 მლნ. ეკონომიკურად აქტიური ადამიანი ფარული უმუშევარია იმ თითქმის 300 ათას უმუშევართან ერთად, რასაც სტატისტიკა ოფიციალურად აფიქსირებს.**

სოფლის მეურნეობის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა აღნიშნული მდგომარეობის რამდენადმე გამოსწორებას ემსახურება, თუმცა დარგის მნიშვნელობისა და მისი ზრდის პერსპექტივების გათვალისწინებით (პრემიერი ამ დარგის პროდუქციის გაორმაგებას გვპირდება მომდევნო ოთხ წელიწადში), ამისათვის **საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული ნორმატივის გათვალისწინებით** (მიჩნეულია, რომ სოფლის მეურნეობაზე საბიუჯეტო სახსრების წილი 1.5-ჯერ უნდა აღემატებოდეს ამ დარგის წილს მთლიან შიდა პროდუქტში), **4 მილიარდი ლარიც კი არაა საკმარისი და იგი კიდევ 1.6 მლრდ. ლარით მაინც უნდა გაიზარდოს.**

**რამდენად საკმარისია ზემოთ მოტანილი სოციალური ინდიკატორების ზრდა იმისთვის, რომ მოსახლეობამ რეალურად იგრძნოს სახელმწიფო ვექტორის სოციალური მიმართულებით შემობრუნება?!**

პროგრამაში ისევ გვხვდება პასაჟი „ასდოლარიან პენსიაზე“, რომელიც წლების განმავლობაში თავისი აქტუალობის შენარჩუნებით უკვე 1990-იანი წლების „ლეგენდარული“ მეცხრე ბლოკის ისტორიას ჩამოგავს. თავად პენსიების ზრდის საპროგრამო პარამეტრი სოციალური დაცვის სტატისტიკას უფრო გააუმჯობესებს, ვიდრე მათი ადრესატების მდგომარეობას. – **ინფლაციის გათვალისწინებით საშუალო პენსიის რეალური მსყიდველობითი უნარიანობა მომდევნო ოთხ წელში წინა ოთხწლიან პერიოდთან შედარებით მხოლოდ 1.2-ჯერ გაიზრდება,** რაც განაპირობებს აღნიშნული კონტინგენტის მოსახლეობის ოჯახის სხვა წევრების დახმარებაზე ან სხვა სახის შემოსავლებზე მაღალი დამოკიდებულების შენარჩუნებას.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის წილი საბიუჯეტო ხარჯებში 5.7 პროცენტიდან 7.5 პროცენტამდე გაიზრდება. თუმცა, თუ ავიღებთ თანაფარდობას, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მოსახლეობის მიერ ჯანდაცვაზე გაღებულ ხარჯებს შორის, აქ, რომ იტყვიან, „გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია“. – **დღეისათვის ჯანდაცვაზე გაღებული ხარჯების ყოველი 100 ლარიდან 78 ლარი მოსახლეობის ჯიბიდან იფარება** და მომდევნო ოთხ წელიწადში მისი დონე, უკეთეს შემთხვევაში, 72-75 ლარამდე თუ შემცირდება. **შედარებისთვის:** საზოგადოებრივი ჯანდაცვის წილი ჯანდაცვის მთლიან ხარჯებში საშუალოდ მსოფლიოში 59 პროცენტი, ხოლო ევროგაერთიანებაში – 85 პროცენტია. **ამ უკანასკნელში საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის 7.0 პროცენტი და საბიუჯეტო ხარჯების 14.7 პროცენტი მოდის.** – საქართველოს ანალოგიური მაჩვენებლებზე 2-ჯერ უფრო მეტი.

განათლებაზე ხარჯების წილი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში 2013-2016 წლებში 2009-2012 წლებთან შედარებით 8.2 პროცენტიდან 10.0 პროცენტამდე გაიზრდება. **შედარებისთვის:** ევროგაერთიანებაში განათლებაზე საზოგადოებრივი სექტორიდან გაღებული ხარჯები შეადგენენ მშპ-ის 5.1 პროცენტს და საბიუჯეტო ხარჯების 12.8 პროცენტს. ევროგაერთიანების ქვეყნების ხარჯების ყოველი მეცხრე ევრო განათლებაზე იხარჯება, ჩვენთან კი – მხოლოდ ყოველი მეთორმეტე (მომდევნო ოთხ წელიწადში – ყოველი მეათე). თანაც, თუ ევროგაერთიანებაში განათლებაზე ხარჯების მხოლოდ 13 პროცენტს ფარავს მოსახლეობა, საქართველოში – 2/3. **მოსახლეობის ერთ სულზე საბიუჯეტო ხარჯების მოცულობა განათლებაზე ევროგაერთიანებაში საქართველოსთან შედარებით დაახლოებით 11-ჯერ მაღალია.**

საქართველოში ყველა სამთავრობო დაწესებულების წინ და ხელმძღვანელის კაბინეტებში ევროკავშირის დროშებია გამოკიდებული. ზოგიერთს ევროკავშირის დროშის სიმბოლური დატვირთვა საქართველოში „სპექტრული ფერდაშლით“ აქვს გაგებული: *ყვითელი ვარსკვლავები* – მამონას თაყვანისმცემლობისადმი მოწოდებად, ხოლო *ლურჯი, ცისფერი* - მაქსიმალურად კორექტულად რომ გამოვთქვათ, *ასოციაციებად არა ბარათაშვილის პოეზიასთან.* არადა, **ევროგაერთიანების მთავარი ნიშანი დემოკრატია, კანონის უზენაესობა და სოციალური დაცვაა.** ამ გაერთიანების წევრი ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის მეოთხედზე მეტი (29.7%) და საბიუჯეტო ხარჯების თითქმის 2/3 (64.7%) სოციალურ დაცვაზე (პენსიები, სოციალური დახმარებები, შემწეობები, განათლება, ჯანდაცვა) მოდის. მთლიანად საქართველოში სოციალური დანიშნულებით ხარჯების წილი ბიუჯეტში მხოლოდ 34.6 პროცენტია – მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 9.2 პროცენტი. **სოციალური დანიშნულების საბიუჯეტო სახსრების წილი კი მშპ-ში საქართველოში ერთი სამად ჩამორჩება ევროგაერთიანების დონეს..**

რა გამოდის?

საქართველო ევროგაერთიანებისაგან თუ ეკონომიკურად (მოსახლეობის ერთ სულზე) 7-ჯერ ჩამორჩება (საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მშპ ევროგაერთიანების დონის მხოლოდ 14 პროცენტია), სოციალური დაცვის თვალსაზრისით ჩამორჩენა 21-ჯერადია. – **მოსახლეობის ერთ სულზე სოციალური დაცვის მთლიანი ხარჯები საქართველოში ევროგაერთიანების ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 4.7 პროცენტია.** ეს ჩამორჩენა მომდევნო ოთხი წლის მანძილზე, სამთავრობო პროგრამის მიხედვით, რამდენადმე უნდა შემცირდეს, და მხოლოდ 15-ჯერადი იქნება (საქართველო ევროგაერთიანებასთან – 7.2%).

**იმედია, ეს გარემოება არ ჰქონდა მხედველობაში პრემიერს, როცა აცხადებდა, რომ მისთვის სტატისტიკა მხოლოდ მშრალი ციფრებია და მინისტრებს ამის მიხედვით არ შეაფასებს(?!).**

მთლიანობაში, ახალი სამთავრობო პროგრამა ეკლექტიკური და პოპულისტურია. ერთი მხრივ, თავად პროგრამა ისე ღრმად იჭრება კერძო ბიზნესის სფეროში, ისეა აღრეული სახელმწიფო და კერძო ბიზნესის ფუნქციები და ამოცანები, შთაბეჭდილება გრჩება – ხელისუფლებას არა მარტო პოლიტიკის, არამედ ბიზნესის მონოპოლიზებაც სურს და ამ მიზნის მიღწევაში არც საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან უკან დახევაზე ამბობს უარს. მეორე მხრივ, პოპულისტური, „მემარცხენე“ ლოზუნგებით გაჯერებული დოკუმენტის მიზანია შემოატრიალოს საზოგადოების ინტერესი და მხარდაჭერა ნაციონალური მოძრაობისადმი და, ათასლარიანი ვაუჩერით თუ ვიმსჯელებთ, ამ მიმართულებით არნახულ გულუხვობაზეც კი მიდის (ესაა, რომ მის სანაცვლოდ სამთავრობო დოკუმენტი მოსახლეობისაგან ხმას **წელსვე** ითხოვს, ხოლო ვაუჩერის განაღდებას – **მომავალი წლიდან** ჰპირდება. არადა, ილფისა და პეტროვის რომანშიც კი „12 სკამი“ ცნობილი კომბინაცია „სკამები ფულის სანაცვლოდ“ ფულის წინსწრებ გადახდას ეფუძნება). მაგრამ ოთხ წელზე გაწერილი **ათასლარიანი ვაუჩერი მხოლოდ შეესაბამება იმ თანხას, რასაც თითოეული ოჯახი დღის რეპრესიული, სამსაფეხურიანი ტარიფის გამო ყოველთვიურად დამატებით, ბეგარასავით უხდის ენერგოკომპანიებს ელექტროენერგიის მოხმარების გამო.** ამასთან, ფრჩხილებს გარეთ რომ გავიტანოთ შეფასება, თუ *რამდენად შეესაბამება ვაუჩერების სისტემა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს* და *რამდენად სამართლიანია ყველა ოჯახის ვაუჩერებით ერთნაირად უზრუნველყოფა,* უნდა ვაღიაროთ, რომ რაც უფრო მაღალი იქნება კონკურენციული ბრძოლა პოლიტიკურ ძალებს შორის სახელისუფლებო ოლიმპის დასაკავებლად, საზოგადოება, თითოეული მოქალაქე მით უფრო მოგებული დარჩება, მით უფრო მაღალი იქნება სოციალური ხარჯების წილი ბიუჯეტსა და მთლიან შიდა პროდუქტში.

ათასლარიანი ვაუჩერისაგან განსხვავებით, უდავოდ პოზიტიურად უნდა შეფასდეს ყველა მსურველის პროფესიული გადამზადების ვაუჩერით უზრუნველყოფა და ამ მიმართულებით განათლების პროცესის უფასო გახდომა.

მიუხედავად დიდი ფიარისა, წინა საარჩევნო ციკლებისაგან განსხვავებით, ხელისუფლებას უპირობო წარმატება აღარა აქვს გარანტირებული. ამიტომ მთლიანობაში პროგრამის სახელწოდება („მეტი სარგებელი ხალხს“) და მასში სოციალურ საკითხებზე ყურადღების კონცენტრირება მიზნად ისახავს *სოციალურად ორიენტირებული ხელისუფლების იმიჯის ფორმირებას საზოგადოების თვალში.* **იმდენად თვალშისაცემია ეს სურვილი, რომ თავად აღნიშნული სლოგანი ძალაუნებურად ერთი კარგი ქართული ფილმის ყველაზე დასამახსოვრებელი ეპიზოდის ალუზიასაც ქმნის. – აი, იმ ეპიზოდისა, სკოლის მასწავლებელი *მამლის სარგებლიანობაზე* რომ ეკითხება მოსწავლეებს.** ქვეყნისა და ყველა პოლიტიკური ძალის სწორედ რომ წინასაარჩევნო რეჟიმში ყოფნა განაპირობებს იმას, რომ პროგრამაში აქცენტი *„ბუნდღას მოცემაზეა“* გაკეთებული; ბუნებრივია, “დაჩინჩვლის“ სიხშირესა და ინტენსივობაზე მასში არაფერია ღიად ნათქვამი.

ბევრმა ექსპერტმა მერაბიშვილის სამთავრობო პროგრამაში რატომღაც „მეოცნებეების“ მიერ მანამდე გაჟღერებული საპროგრამო მუხლების პლაგიატი დაინახა. იქნებ ამას უკავშირდება ბატონ **პრემიერის სახელთან** მისი და მმართველი *პარტიის* ***მთავარი ოპონენტის გვარის*** ასოცირება *მთავრობის ახალ შემადგენლობაზე საუბრისას* არა მარტო მედიის წარმომადგენლების, არამედ პოლიტიკოსების მხრიდანაც?

**„ბოროტი ენები“ იმასაც კი იძახიან, *ივანიშვილის მიერ დასახელებული პარამეტრები მერაბიშვილმა უბრალოდ 4-ზე გაამრავლაო.* თუ ნუმეროლოგიისადმი „ნაციონალური მოძრაობის“ არცთუ გულგრილ დამოკიდებულებას გავითვალისწინებთ, არ მიმაჩნია მართებულად ვილაპარაკოთ „ოთხიანზე“, როგორც „მერაბიშვილის მულტიპლიკატორზე“. „ნაციონალურ მოძრაობას“ ყველაზე კარგად „ხუთიანი“ აქვს დაცდილი – საარჩევნო ნომრიდან დაწყებული და ოპოზიციის „უკანონო შემოწირულობებისთვის“ ფიზიკური და იურიდიული პირების ხუთმაგი დაჯარიმებით დამთავრებული. თანაც, მთავარი ხომ არჩევნებში გამარჯვებაა და ამ მხრივ, რა მნიშვნელობა აქვს, 4-ს მოვიშველიებთ, 5-ს თუ 14-ს, გამარჯვების შემდეგ ვინ იქნება გამკითხავი და დამმუნათებელი?! „დახუთულ სივრცეში“ დაღუპული ზურაბ ჟვანიას შემდეგ რიგით მეხუთე პრემიერს ხომ, ტომ კრუზის ცნობილი კინოგმირისა არ იყოს, უფრო რთული, თითქმის შე(უ)სრულებადი მისია აკისრია: გაამარჯვებინოს მმართველ ძალას მომავალ საპარლამენტო არჩევნებში და „ბეჭებზე დასცეს“ ქართველების დიდი ნაწილისათვის უკვე ცხოვრების ფორმად ქცეული უმუშევრობა. ამ ასპექტით კი მას გამარჯვებისათვის ნებისმიერ ციფრზე მეტად პოლიტიკური დრიბლინგი და იმნაირი „ღვთის ხელი“ სჭირდება, მარადონას ინგლისელებისთვის გოლის გატანაში რომ „წაეშველა“.**

მთლიანობაში, ახალი სამთავრობო პროგრამა ეკლექტიკური და პოპულისტურია. ერთი მხრივ, თავად პროგრამა ისე ღრმად იჭრება კერძო ბიზნესის სფეროში, ისეა აღრეული სახელმწიფო და კერძო ბიზნესის ფუნქციები და ამოცანები, შთაბეჭდილება გრჩება – ხელისუფლებას არა მარტო პოლიტიკის, არამედ ბიზნესის მონოპოლიზებაც სურს და ამ მიზნის მიღწევაში არც საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან უკან დახევაზე ამბობს უარს.

**გამარჯვების *ფსონი* ხომ, თუ კიდევ ერთი ცნობილი კინოფილმის სახელწოდებას დავესესხებით, *სიცოცხლეზე მეტია*...**

სოსო არჩვაძე

ხმა ერის გასაგონად

# თავმირთყმული ერი

არსებობს რუსული გამოთქმა „ბლოშინი ცირკ“, რაც გულისხმობს რწყილის ისე გაწვრთნას, რომ მისი ცირკში საჩვენებლად გამოყვანა შეიძლებოდეს. ცნობილია, რომ რწყილი ხტუნვა-ხტუნვით გადაადგილდება, მაგრამ, თუ მას ზემოდან რაიმე მყარ საგანს (მინას, თუნუქის ნაჭერს) დავაფარებთ, ხტუნვის დროს, რამდენიმეჯერ თავის მირტყმის შემდეგ, იგი ხოხვას დაიწყებს. აი, ასე შეიძლება რწყილის „საცირკოდ“ გაწვრთნა. და არა მარტო რწყილისა. მთელი ერი შეიძლება, თურმე, ამ პრინციპს დაემორჩილოს. ჩვენ, ქართველები, ასეთ „თავმირტყმულ“ ერებს მივეკუთვნებით.

პირველად თავი გვარტყმევინეს XIX საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ცარიზმმა სასტიკად ჩაახშო ეროვნული დამოუკიდებლობისათვის აჯანყებები. ამის შემდეგ, ჩვენი ეროვნული ინტერესების დასაცავად თუ წამოვიკნავლებდით, წკიპურტებს გვთავაზობდნენ. შედეგად მოგვიმრავლდნენ რუსულ ჩინმედლებს დახარბებული რუსეთუმეები.

„ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, ლენინური „ერთა თვითგამორკვევის დეკლარაციით“ აღფრთოვანებულმა ქართველებმა დამოუკიდებელი სახელმწიფო შევქმენით, მაგრამ 1921 წელს ისე ჩაგვარტყეს, რომ დამოუკიდებლობაც დაგვაკარგვინეს და, 1924 წლის აჯანყების სასტიკად ჩახშობის და მომდევნო წლების რეპრესიების შემდეგ დამოუკიდებლობაზე ფიქრიც დაგვავიწყეს. თავში წამორტყმები გრძელდებოდა.

მას შემდეგ, რაც მე-20 საუკუნეში მეორედ მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა, ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, აგრეთვე მთავარი თავში ჩამრტყმელის მოცილების გამო, თითქოს საქმე უკეთესობისაკენ უნდა წასულიყო, მაგრამ არა – ამდენმა თავში ჩარტყმებმა, წამორტყმებმა და წკიპურტებმა ისეთი კვალი დატოვეს ხალხში, რომ მის აღმოფხვრას კიდევ ხანგრძლივი დრო დასჭირდება.

პატივცემულო მკითხველო! არ გეწყინოს და არც გაგიკვირდეს ამ წერილის შეუფერადებელი და მკაცრი ტონი.

თავმირტყმულია ერი, მაშ რა არის, როცა საცხოვრებელ მინიმუმზე გაცილებით ნაკლებ ხელფასს ან პენსიას გაძლევენ და შენ ხმას არ იღებ, ეგუები იმ აზრს, რომ შენ არავის არ სჭირდები, შენ უნდა მოკვდე.

**ცნობისთვის:** ინგლისის დედოფალმა ელიზაბეთმა (1558-1603წ მოსამართლეებს დაავალა დაედგინათ თითოეულ საგრაფოში საცხოვრებელი მინიმუმის რაოდენობა (მაშინ მოსამართლეები, სასამართლოს გარდა, სხვა ფუნქციებსაც ასრულებდნენძ და თუ მანუფაქტურის მფლობელი მუშას საცხოვრებელ მინიმუმზე ნაკლებ ხელფასს დაუნიშნავდა, მკაცრად დაესაჯათ.

თავმორტყმულია ერი, მაშ რა არის, როდესაც შენი სახელმწიფოს მეთაურები, თავიანთი მოღალატური, უგუნური პოლიტიკის გამო, ომებს აგებენ, ტერიტორიებს კარგავენ, ათასობით ადამიანს აუბედურებენ, შემდეგ კი არხეინად აგრძელებენ „მოღვაწეობას“, შენ კი მათ დითირამბებს უძღვნი და ოვაციებით ხვდები.

**ცნობისთვის:** ჩვენთვის ჯალათად, დესპოტად ცნობილმა, რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I თავი მოიკლა, როდესაც სევასტოპოლი დაეცა და ყირიმის ომში დამარცხდა.

თავმირტყმულია ერი, მაშ რა არის, როდესაც მავანის ერთი ხელის აქნევით ახალგაზრდებს ქუჩაში ხოცავენ, დამნაშავეებს ფორმალურად ან, საერთოდ არ სჯიან, შენ კი ამგვარ აღმაშფოთებელ მოვლენებზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენ.

**ცნობისთვის:** აშშ-ს ქალაქ ლოსანჯელესში პოლიციელმა, დაუმორჩილებლობის გამო, შავკანიანს ესროლა და მოკლა. ამის გამო, ქალაქის მოსახლეობამ რამდენიმედღიანი საპროტესტო აქციები მოაწყო და სახელმწიფოს ათეული მილიონობით დოლარის ზარალი მიაყენა.

საბერძნეთში, პოლიციელმა 15 წლის ახალგაზრდა მოკლა. საპროტესტო გამოსვლების ტალღამ მთელ საბერძნეთს გადაუარა.

თავმორტყმულია ერი, როდესაც კომპეტენტური ადამიანები ამბობენ, რომ ციხეებში ათასობით უდანაშაულო ადამიანია, რომ ისინი საშინელ პირობებში ჰყავთ, შენ კი კითხულობ და ისმენ ამ ფაქტებს, მდგომარეობის გამოსწორებისთვის კი არაფერს აკეთებ.

თავმირტყმულია ერი, როდესაც ათასობით ადამიანი კვდება იმის გამო, რომ საექიმო მომსახურებისა და წამლის ფული არა აქვს, შენ კი ყოველივე ამას ჩვეულებრივ ამბად იღებ და არ რეაგირებ.

ჩვენში, ხვალ რომ საპენსიო ასაკად 80 წელი გამოაცხადონ, ერთიორი კაცი, შინაურ წრეში, მწარედ ამოიხვნეშებს და ამით დამთავრდება ყველაფერი.

ჩვენი ერის თავმოყვარეობის, უნიათობის დამადასტურებელი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება, მაგრამ, რაც ვთქვით, ესეც საკმარისია.

**ვაჟა თვალავაძე**

ჩვენ

# „ვამბობ პარტიას, ვგულისხმობ ლენინს!“

**რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, ორ პოლიტიკურ ცენტრს შორის ბრძოლა სულ უფრო მძაფრ ხასიათს იღებს. სახელისუფლებო გუნდი შეიარაღებული ადმინისტრაციული ბერკეტებით ცდილობს, კოალიცია „ქართული ოცნება“ არჩევნებამდე გაისტუმროს პოლიტიკური ასპარეზიდან: აყადაღებს, აჯარიმებს, ყოველი ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა ოპოზიციის დევნა. კოალიცია „ქართული ოცნება“ ამ ყველაფერს ჯერჯერობით გმირულად უძლებს და მას ძველებურად ხალხის დიდი მხარდაჭერა აქვს. რა განწყობებია საზოგადოებაში და როგორ მოახერხა ბიზნესმენმა ბიძინა ივანიშვილმა უმოკლეს დროში საზოგადოების დიდი ნაწილის შემოკრება, ან როგორ შეიცვალა ბოლო წლებში საზოგადოების ღირებულებები, ამ თემებზე ფსიქოლოგიის დოქტორი თეა გოგოტიშვილი გვესაუბრება.**



**– „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ბოლო დროს საკმაოდ სერიოზული სვლები გააკეთა – ძველი მთავრობა ახლით შეცვალა. რამდენად არის ეს მისი მოწინააღმდეგის დამსახურება, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ივანიშვილს საკმაოდ ძლიერ კონკურენტად მიიჩნევს და მისი ეს ქმედებაც სწორედ აქედან გამომდინარეობს?**

– „ქართული ოცნების“ მიერ ჩატარებულ აქციებზე გამოვლენილმა სამოქალაქო აქტივობამ, ოპოზიური კოალიციის მხარდამჭერთა რაოდენობრივმა მაჩვენებელმა, შეიძლება ითქვას, კატალიზატორის როლი შეასრულა მთავრობის შემადგენლობის ცვლილებებთან მიმართებაში. გამორიცხული არ არის, მსგავსი ცვლილებები უფრო მოგვიანებით განსახორციელებლად ყოფილიყო დაგეგმილი, მაგრამ „ქართული ოცნების“ მიერ ორგანიზებულმა მასობრივმა გამოსვლებმა დააჩქარა პროცესები.

**– კოალიცია „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი უარს აცხადებენ ჯარიმების გადახდაზე. შეიძლება თუ არა, რომ ეს მივიჩნიოთ მათი პიარსტრატეგიის ნაწილად, რომლითაც სურთ საზოგადოებას დაანახონ ამ ხელისუფლების სახე და რამდენად ამართლებს ასეთი ტექნოლოგიები?**

– ვფიქრობ, აქ პრინციპულობა უფრო მთავარია, ვიდრე პიარი, ვინაიდან უდანაშაულო ადამიანისათვის, საკუთარი სიმართლის დაცვა ყველაზე მნიშვნელოვანია. ასეთ ვითარებაში, ჯარიმების გადახდა ავტომატურად გულისხმობს ბრალის აღიარებას, რაც ამომრჩევლის ფრუსტრაციას გამოიწვევს.

**– ძალიან მოკლე დროში ბიძინა ივანიშვილმა უამრავი ადამიანის მხარდაჭერა მოიპოვა, თუმცა შორიდან არ იგრძნობა, რომ საამისოდ ბევრი ძალა და ენერგია დახარჯა და პიარბერკეტები გამოიყენა. თქვენი, როგორც პროფესიონალის შეფასებით, ივანიშვილი მუშაობს საკუთარ პიარზე, თუ ეს თავისთავად მოვიდა, რადგან საზოგადოება ახალი ლიდერის მისაღებად მზად იყო?**

– მე ვფიქრობ, რომ ეს ადამიანი საკმაოდ მუშაობს თავის იმიჯზე და ზრუნავს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე. დინამიკაში მივადევნოთ ამ პროცესს თვალი და შევადაროთ ძველი და ახლანდელი მიმართვები, რომელიც ასეთი მასობრივი თავყრილობების ფონზე ხდება.

ვფიქრობ, ოპოზიციური კოალიციის ლიდერი ბევრს მუშაობს და ეს ლინგვისტური ველის ცვლილებაშიც ვლინდება, უფრო დაიხვეწა ვერბალიკა. თავიდან მახსოვს, მისი საუბარი ისეთ ზოგადსაკაცობრიო თემებზე, როგორიცაა ბავშვების აღზრდა, ფსიქოლოგიის მნიშვნელობა მომავალი თაობის ფორმირებაში და ა.შ. უამრავი ადამიანი გაოცებული დარჩა იმით, თუ რა თემების განხილვას მიანიჭა უპირატესობა ბიძინა ივანიშვილმა მის პირველ ვრცელ სატელევიზიო ინტერვიუში. ბევრს იმედგაცრუება დაეუფლა, ვინაიდან კომპეტენტური აზრის მოსმენას ელოდა, სულ სხვა საკითხებზე.

ბოლო გამოსვლებიდან შეგვიძლია ვთქვათ, რომ მას კარგად აქვს გააზრებული თავისი ძლიერი მხარეები, პროგრამა, რომელსაც წარადგენს სოციალურ თუ ეკონომიკურ პრობლემებთან დაკავშირებით. აშკარაა, რომ მას ჰყავს სერიოზული კონსულტანტები, ბევრს მუშაობს ამ საკითხებზე და აქვს ძალიან სკრუპულოზური გათვლები, რომელზე დაყრდნობითაც შეძლება წარმოაჩინოს პერსპექტივაში მისი ხედვა და გეგმა ამა თუ იმ მიმართულებით.

**– ბიძინა ივანიშვილი მთლიანად არ ამბობს, რა შედის მის გეგმებში. ის ხალხთან ყოველი შეხვედრის დროს ნაბიჯ-ნაბიჯ გვეუბნება რის გაკეთებას აპირებს. ასეთი იყო ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა, ანუ ეს მიგვანიშნებს, რომ მან ზუსტად იცის, როდის რა სვლა უნდა გააკეთოს, რამდენად მნიშვნელოვანია ასეთი მიდგომა, საზოგადოებაში რა ეფექტს იწვევს?**

– ჩემი შთაბეჭდილება ასეთია: ის ყველა „კარტს ერთდროულად არ ხსნის“, წინააღმდეგ შემთხვევაში, დამეთანხმებით, გაცილებით უინტერესოს გახდიდა ხალხისადმი მის მიმართვებს, თუკი ერთდროულად მოახდენდა ყველა საკითხის ამომწურავად დეკლარირებას და შემდგომში მათ გამეორებას. გამეორება ყოველთვის ცოდნის დედა როდია, ხშირად ჩვენს ქვეყანაში ავიწყდებათ, რომ არსებობს მოყირჭების ფენომენი და ერთი და იგივეს ბევრჯერ გამეორება უკუშედეგს განაპირობებს. ამიტომ პიარკამპანიაში ძალიან მნიშვნელოვანია მიზანმიმართული, ნაბიჯ-ნაბიჯ კარგად გათვლილი საინტერესოდ გახმოვანებული გზავნილები, რომელიც თანდათან ხსნის მთლიანი კონცეფციის მრავალმხრივობას.

**– ცოტა ხნის წინათ, ვიდრე ივანიშვილი პოლიტიკაში გამოჩნდებოდა, საქართველოში დამკვიდრებული იყო აბსოლუტურად განსხვავებული ლიდერის სტერეოტიპი, ბოლოს უკვე კომიკური ხასიათიც კი მიიღო, როდესაც ლიდერები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო ხმამაღლა იყვირებდა და თან პოლიტიკური ოპონენტის ლანძღვა-გინების კორიანტელს დააყენებდა, ამას ქარიზმას ეძახდნენ და ამ მეთოდს მიმართავდა ყველა, სააკაშვილიდან დაწყებული, ოპოზიციის ლიდერებით დამთავრებული. ახლა ვნახეთ, რომ ხალხის მოთხოვნა სულაც არ ყოფილა, ასე ვთქვათ, მყვირალა ლიდერი და არასოდეს ოპოზიციის მიტინგებზე არ გვინახავს ამდენი ხალხი, როგორ ფიქრობთ, რა მოხდა?**

– მე ვიტყოდი, რომ არა მარტო ბიძინა ივანიშვილი განსხვავდება თავისი სტილით და რიტორიკით. მისი გარემოცვიდან, პირველ რიგში, გამოვყოფდი ირაკლი ალასანიას და მის გუნდს, რომელიც გამორჩეულია თავისი დახვეწილი კულტურითა და დიპლომატიით. რაც შეეხება იმას, რომ მოსახლეობას ადრე სხვა გემოვნება ჰქონდა და ახლა აშკარად სხვა რამე ხიბლავს, ეს ძალიან სასიხარულოა და კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რომ საზოგადოება ვითარდება და მისი გემოვნების დახვეწა ხდება. უკანასკნელი მოვლენები ნათლყოფს, რომ ჩვენი ქვეყანა და მოსახლეობა ძალიან სწრაფად დგამს ნაბიჯებს პოლიტიკური კულტურის განვითარებისკენ.

**– ამას წინათ სრულიად შემთხვევით აღმოვჩნდი NDI-ს ახალი გამოკითხვის (რომელიც აგვისტოში დაიდება) რესპონდენტი და ბოლოს ბუნებრივია, ინტერვიუერს ვკითხე, როგორი იყო ველი ახლა. მითხრა რომ მას კითხვებზე პასუხის გაცემის უფლება არ ჰქონდა, თუმცა მაინც გამიმხილა, რომ ველი იყო აბსოლუტურად შეცვლილი და ბევრად გაჯანსაღებული, ვიდრე სხვა გამოკითხვებისას. იმედია, ეს აისახება კიდეც NDI-ს შემდეგ კვლევაზე, მაგრამ ხალხის განწყობასაც რომ გადავხედოთ, როგორ ფიქრობთ, რა მოხდა ასე უცებ?**

– განწყობის ფსიქოლოგიაში ძალიან კარგად არის ახსნილი განწყობის ცვლილების ხელშემწყობი ფაქტორები. განწყობის ცვლილებისათვის არ არის აუცილებელი დროში გახანგრძლივებული, მრავალჯერადი გამეორება. მძაფრი შთაბეჭდილების მომხდენი სიტუაციები, ასევე ცვლის განწყობას. ძლიერი შთაბეჭდილების განცდის შედეგად ხდება ახალი, განსხვავებული განწყობის შექმნა. ამ შემთხვევაში, საზოგადოებაზე დიდი და მრავალმხრივი შთაბეჭდილების მომხდენი იყო 27 მაისის აქცია.

მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მაღალ დონეზე ორგანიზებულობა, რასაც ადრე ნაკლებად ვხვდებოდით. ამჯერად, სტიქიურობის და ქაოტური მოძრაობის ელემენტებსაც კი ვერ დავინახავდით.

მე ამ დროს უცხოეთში ვიმყოფებოდი და ამ პროცესს ინტერნეტით ვაკვირდებოდი. გაცილებით ადვილად შემეძლო გარედან დამენახა ეს ცვლილება, რომელიც აშკარა იყო. ორგანიზებულობა და მოწესრიგებულობა არა მხოლოდ აქციის გამართვას ეხებოდა, არამედ სანიტარიული ნორმების დაცვასაც, რაც განსაცვიფრებელია, რადგან სამწუხაროდ, ყოფით კულტურაში გამორჩეულები არ ვართ და ამ მხრივ, ევროპისაგან ბევრი გვაქვს სასწავლი.

**– სულ რამდენიმე თვეში ბიძინა ივანიშვილმა უამრავი ადამიანის ნდობა მოიპოვა, ეს რითი შეიძლება ავხსნათ?**

– ნდობა უნდობლობის საკითხში ძალიან დიდ როლს ასრულებს მისი ბიოგრაფია, მისი ცხოვრება. რას აკეთებდა, რა რეპუტაციით სარგებლობდა პოლიტიკაში მოსვლამდე.

მას ყველა იცნობდა, როგორც გამორჩეულ ქველმოქმედს, მეცენატს და რომ არა წინასაარჩევნო გარემო, დარწმუნებული ვარ, ის ასეც გააგრძელებდა. სამწუხაროა, რომ ხშირად ადამიანებს ხანმოკლე მეხსიერების მქონედ განიხილავენ და ფიქრობენ, რომ ვინმეს რაიმე დაავიწყდა. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება გარკვეული პიარტექნოლოგიებით გადაფარო მიღებული შთაბეჭდილებები და განწყობა შეუცვალო ადამიანებს, მაგრამ ეს ასე მარტივად ვერ მოხდება ამ კონკრეტულ პოლიტიკურ ლიდერთან დაკავშირებით.

როდესაც ბიძინა ივანიშვილი ამბობს, რომ ის მოვიდა შეჭირვებული სოციალური ფენიდან და თვითონ შექმნა თავისი კაპიტალი, იცის, თუ როგორ უნდა მოხდეს პროგრესი ეკონომიკაში – ეს ადვილად დასაჯერებელი ხდება. თუკი მან ნულიდან შეძლო ძალიან სერიოზული ფინანსური იმპერიის აშენება, თუკი თავის ცხოვრებაში შეძლო ამის გაკეთება, სამმილიონნახევრიანი მოსახლეობის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანაც რეალური პერსპექტივა უნდა იყოს.

ბიოგრაფიულ მონაცემებს ემატება ასევე, მისი აშკარა გულწრფელობა, უშუალობა, კეთილგანწყობა. არსებობს არაცნობიერი საინფორმაციო ველი, რომელიც გვიქმნის შთაბეჭდილებებს. ჩვენზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ ის, თუ რას ამბობს ადამიანი, არამედ, როგორ ამბობს. მისი ინტონაცია და სხეულის ენა გაცილებით უფრო მეტს გვეუბნება, ვიდრე სიტყვები.

ეს ნდობა თავისთავად ნიშნავს თუ არა იმ უდიდეს პასუხისმგებლობას, რომელსაც ხალხი აკისრებს ამ პოლიტიკურ გუნდს, მის ლიდერს, იგრძნობა თუ არა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ ეს ყველაფერი და მზად არიან ამ პასუხისმგებლობის ასაღებად, ამას გეკითხებით იმიტომ, რომ არც თუ შორეულ წარსულში გვინახავს ოპოზიცია, რომელიც ამისათვის მზად არ აღმოჩნდა ამ ყველაფრისთვის და ამიტომაც ბრძოლა წააგო...

**ლალი ზირაქიშვილი**

◉ გლეხები ჩივიან

# მიწების მონოპოლია



**საქართველოში მონოპოლია სასოფლო-სამეურნეო მიწებზეც იქმნება. გლეხები ჩივიან, რომ მათ მიწების საკუთრებაში გაფორმებისას ბარიერებს ხელოვნურად უქმნიდნენ და დღესაც უქმნიან.**

პოლიტიკური პარტია „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერის ლევან კალანდაძის განცხადებით, სასოფლო-სამეურნეო მიწების ფლობაში მონოპოლიებია. **„სოფლებში მიწის დიდი ფართობები ხელისუფლებასთან დაახლოებული პირების ხელშია. ნასაკირალსა და ბაღდადში ეკონომიკის სამინისტრომ ისე გაყიდა მიწები, რომ ხალხი საქმის კურსშიც არ იყო.**

**მიწების გარეშე დარჩენილი გლეხები ჩივიან, რომ მათ მიწების საკუთრებაში გაფორმებისას ბარიერებს ხელოვნურად უქმნიდნენ და დღესაც უქმნიან. ადვილი მისახვედრი იყო, რომ საბოლოოდ მიწების დიდი ნაწილი იმ ადამიანების ხელში აღმოჩნდებოდა, ვისაც ხელისუფლება „სწყალობს“. ასე რომ, მონოპოლიები ამ შემთხვევაშიც ურთულებს ადამიანებს ცხოვრებას“,** — განაცხადა კალანდაძემ.

მსგავსი ვითარებაა მთელი საქართველოს მასშტაბით. შესაბამისად, უმიწოდ დარჩენილი მოსახლეობის პროტესტი დღითი დღე მატულობს.

გარდაბნის რაიონის სოფელ ქესალოს მოსახლეობა ხელისუფლებას იჯარით აღებული მიწების უკანონოდ ჩამორთმევაში ადანაშაულებს და მათ დაბრუნებას მოითხოვს. სოფლის მცხოვრებლები თბილისში ჩამოვიდნენ და ეკონომიკის სამინისტროსთან საპროტესტო აქციაც გამართეს.

**აქციის ორგანიზატორის, პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერის გიორგი ლაღიძის განცხადებით, 500 ჰექტარი ფართობის სასოფლო-სამეურნეო მიწა სოფლის მოსახლეობას საიჯარო ხელშეკრულებით ჰქონდა აღებული და შესაბამის გადასახადსაც იხდიდა. 4 თვის წინათ მათ დაუკითხავად მიწა აუქციონზე გაიტანეს და გაიყიდა. მიწა მთლიანად შეისყიდა ხელისუფლებასთან დაახლოებულმა პირმა მიხეილ სვიმონიშვილმა, რომელიც ყოფილი სოფლის მეურნეობის მინისტრია.**

ლაღიძის ინფორმაციით, აღნიშნული ტერიტორიის გაყიდვაში პარლამენტარ არჩილ გეგენავას ძმის ბიზნესინტერესებიც იკვეთება, გლეხების უფლებები და ინტერესები კი სრულად არის იგნორირებული. ამ საკითხთან დაკავშირებით, აქცია ეკონომიკის სამინისტროსთან უკვე სამჯერ გაიმართა, ამასთან პროკურატურაში საჩელია შეტანილი, თუმცა ხელისუფლებისა და ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.

როგორც ლაღიძე აცხადებს, მოსახლეობაზე მუდმივად ხორციელდება ზეწოლა. **„დღევანდელ აქციას გაცილებით მეტი ადამიანი უნდა დასწრებოდა. რამდენიმე ასეული ადამიანი მოდიოდა გარდაბნის რაიონიდან, თუმცა პოლიციის ჩარევის შემდეგ ეს ადამიანები დააყოვნეს და თბილისში ჩამოსვლის უფლება არ მისცეს“,** — ამბობს გიორგი ლაღიძე.

ეკა ბოკუჩავა 3 წელია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოში“ საკუთრების უფლების დაცვის საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაცია კონკრეტული პროექტის ფარგლებში მოქალაქეებს საკუთრების უფლების რეგისტრაციის დროს შექმნილი პრობლემების მოგვარებაში ეხმარება.

**„დაახლოებით სამი წელია სამეგრელოში, და კერძოდ, ანაკლიაში საკუთრების უფლების ხელყოფის პრობლემაა. 2009 წელს იყო პირველი ტალღა, როცა სახელმწიფომ თვითნებურად დაირეგისტრირა მოსახლეობის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. მათ დღემდე არანაირი კომპენსაცია არ მიუღიათ. ახლა, როგორც ვიცით, მიმდინარეობს საავტომობილო გზის მშენებლობა და ხდება ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისთვის თანხების გაცემა“,** — ამბობს ეკა ბოკუჩავა.

სახელმწიფოს მიერ ანაკლიის მკვიდრთათვის მიწის ჩამორთმევა, ქვეყნის პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ 2009 წელს, ანაკლიის საკურორტო ზონად გამოცხადებას უკავშირდება, რადგან პროექტის ფარგლებში კომპანია, „ანაკლია-პორტს“ საერთო სატრანსპორტო კვანძის მშენებლობა უნდა დაეწყო.

**47 ჰექტარი მიწის ფართობის ჩამორთმევას ედავება სახელმწიფოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტაში მცხოვრები ომარ აქუბარდია. საქართველოს სასამართლოს ყველა ინსტანციაში წარუმატებლობის შემდეგ ახლა მის საქმეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში (სტრასბურგი) განიხილავენ. ომარ აქუბარდიას თქმით, შპს „ალექსანდრემ“, რომლის ერთ-ერთი მეწილეც თავად იყო, 2007 წელს გაყიდა 48 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, რომელიც მისმა ვაჟმა, სოსო აქუბარდიამ შეიძინა.**

მას შემდეგ სოსო აქუბარდია აღნიშნული მიწის ნაკვეთს კანონიერად, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ფორმით ფლობდა. უძრავი ქონების შეძენიდან 2 წელიწადში აქუბარდიებმა შემთხვევით შეიტყვეს, რომ მიწის ნაკვეთი მათ საკუთრებაში არ იყო.

**როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ კვლევაში აღნიშნულია, ომარ აქუბარდიამ საჯარო რეესტრის მიერ 2009 წლის 3 დეკემბერს გაცემულ ამონაწერში ცვლილებები აღმოაჩინა. ამონაწერის გრაფაში სიტყვა „დაზუსტებული“ შეიცვალა სიტყვა „დაუზუსტებელით“. შეცვლილი იყო ნაკვეთის საკადასტრო ნომრებიც. ომარ აქუბარდიამ აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად არაერთხელ მიმართა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, სადაც ისევე, როგორც საჯარო რეესტრში პასუხობდნენ, რომ „პრობლემა უახლოეს მომავალში გამოსწორდება და უძრავ ქონებას გასხვისება არ ემუქრება“.**

**ომარ აქუბარდია, როგორც თავად ამბობს „მეტი სიფრთხილისთვის“ 2010 წლის მარტში ელექტრონული აზომვითი ნახაზის წარდგენით შეეცადა საჯარო რეესტრში ცვლილებების რეგისტრაციას, მაგრამ საჯარო რეესტრში უარი განუცხადეს. მოგვიანებით, იმავე წელს საჯარო რეესტრისთვის უკვე სავალდებულო გახდა მიწის ნაკვეთის ელექტრონული საკადასტრო აზომვითი ნახაზის წარდგენა. საბოლოოდ აქუბარდიას საჯარო რეესტრში უთხრეს, რომ მისი მიწა ზედდებაშია, „რაც ნიშნავს იმას, რომ 47 ჰექტარი მიწა სახელმწიფოსია და შენი ერთი ჰექტარიაო“. ასეთი პასუხის შემდეგ გადაწყვიტა ომარ აქუბარდიამ სასამართლოსთვის მიემართა.**

ასეთი განუკითხაობაა თითქმის ყველგან, სადაც მიწებს ყოფილმა ჩინოვნიკებმა, ე.წ. ინვესტორებმა თუ თავად სახელმწიფომ თვალი დაადგა...

**გიორგი ბექაური**

◉ ვითარება

# „ქართუ ბანკიდან“ ივანიშვილის ჯარიმის ამოღებას მინიმუმ 5 წელი დასჭირდება

**აღსრულების ეროვნულმა ბიურომ საქალაქო სასამართლოს სს „ქართუ ჯგუფისა“ და სს „პროგრეს ბანკის“ იძულებითი მართვის რეჟიმში გადაყვანის შესახებ შუამდგომლობით მიმართა, რადგან ბიძინა ივანიშვილისთვის დაკისრებული ჯარიმის ამოღების მიზნით, ეს ქონება აუქციონზე ვერ გაიყიდა. ამიტომ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აღსრულების ეროვნულ ბიუროს მიმართა და აღსრულებას დაქვემდებარებული ქონების იძულებითი მართვის რეჟიმში გადაყვანა მოითხოვა.**

„იძულებითი მართვა გულისხმობს აღსრულებას დაქვემდებარებული ქონების მმართველის დანიშვნასა და იძულებითი მართვის შედეგად მიღებული თანხებით კრედიტორის ეტაპობრივად დაკმაყოფილებას. იძულებითი მართვის პროცესის დასრულებამდე, იძულებითი მმართველი სარგებლობს მესაკუთრის ყველა უფლებით, ხოლო ქონება მოვალის საკუთრებაში რჩება“, — ნათქვამია აღსრულების ეროვნული ბიუროს განცხადებაში.

„ქართული ოცნების“ წევრების განცხადებით, ხელისუფლება „ქართუ ჯგუფსა“ და „პროგრეს ბანკს“ ფაქტობრივად ისაკუთრებს, რადგან იძულებით მმართველი მართავს ამ კომპანიების აქციებს და აქციონერების სახელით გადაწყვეტილებების მიღება შეუძლია. მესაკუთრეს კი ამ პირობებში თანამშრომლების დანიშვნა, ქონების მართვა და შემოსავლის მიღება არ შეუძლია. ამდენად, მესაკუთრეს მხოლოდ ის რჩება, რომ დაელოდოს, როდის ამოიღებენ ამ ქონებიდან იმ თანხას, რაც სახელმწიფო ბიუჯეტმა უნდა წაიღოს.



ამასთანავე, ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს საქართველოში 2007 წელს განვითარებულ მოვლენებს, როდესაც პოლიტიკაში ბადრი პატარკაციშვილის მოსვლის შემდეგ მას „სტანდარტ ბანკი“ ჩამოართვეს და ამით პრაქტიკულად ხელ-ფეხი შეუკრეს. ივანიშვილის შემთხვევაშიც, ალბათ, იგივეს გაკეთებას აპირებენ, მაგრამ გამოუვათ თუ არა, რთული სათქმელია. ამ ეტაპზე, შეტევა ბანკის მმართველის ნოდარ ჯავახიშვილის წინააღმდეგაც იგეგმება, რადგან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილისა და მისი მეუღლის საბანკო ანგარიშიდან „ბანკი ქართუს“ გენერალურ დირექტორ ნოდარ ჯავახიშვილის ანგარიშზე 6 მილიონ ლარამდე ფულადი ტრანზაქცია განხორციელდა, რომელიც, შესაძლოა „კანონის გვერდის ავლით იხარჯებოდეს“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჯავახიშვილს ღია წერილით მიმართა და მოუწოდა, მიღებული დაფინანსების შედეგად განხორციელებული საქმიანობისა და ხარჯების შესახებ ინფორმაცია უწყებას სამი დღის ვადაში წარუდგინოს.

„ქართუ ჯგუფის“ და „ქართუ ბანკის“ ხელმძღვანელი ნოდარ ჯავახიშვილი for.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ხელისუფლება ისედაც უკვე რამდენიმე თვეა „ქართუ ბანკის“ ყველა ანგარიშსა და ოპერაციას აკონტროლებს, ამიტომ ამაზე მეტი კონტროლი პრაქტიკულად შეუძლებელია.

**ნოდარ ჯავახიშვილი:** „ქართულმა საზოგადოებამ შესანიშნავად იცის, რომ უკვე მეცხრე თვეა „ქართუ ბანკში“ საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომლები სხედან და ყველა ოპერაციას წინასწარ აკონტროლებენ. ახლა თუ ხელისუფლებაში იმაზეა ჭიდაობა, ეროვნული ბანკი უნდა აკონტროლებდეს „ქართუ ბანკის“ საქმიანობას, თუ აღსრულების ეროვნული ბიურო, ეს უკვე სხვა საკითხია, თორემ ეროვნული ბანკი ყველა ჩემს მოქმედებას აკონტროლებს.

იხ. 6 გვ.

◉ წკეპლიკა

# ჩამოშლა-არჩამოშლის საკითხისათვის

**საქართველოს პრეზიდენტის სატრაბახო რეპერტუარში ამგვარი მომენტიც გამოდის ხოლმე წინა პლანზე: რომ ჩვენ შემდგარი სახელმწიფო ვართ, რომ მტრების ხრიკების მიუხედავად, ჩვენი სახელმწიფოებრიობა არ ჩამოშლილა თვით ავბედითი „სამი რვიანის“ შემდეგაც კი (2008 წლის მერვე თვის რვა რიცხვი!), თვით მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგადაც კი და სხვა და ასე შემდეგ.**

საერთოდ, ქვეყნის პირველი პირი, ჩემი შემჩნევით, არცთუ იშვიათად მოირგებს ხოლმე მოლა ნასრედინის როლს: მოუმუწავი ენა-პირით, იმდენს იკვეხნის, იმდენს იტყუება და იმდენს ახეთქებს, რომ მერე თვითონვე სჯერა ფლავის ბლეფისა და საჭმლის დარიგების ადგილისაკენ მიუყვება გზას...

შესაძლებლობას ვინ მომაქვავებს, თორემ რომ მომეცემოდეს, ასეთ „ჩაუწყობელ“, შეუთანხმებელ შეკითხვებს დავუსვამდი მრისხანე მიხაე პიარესკუს: პირველ, უპირველეს, უწინარეს ყოვლისა, შეიძლება თუ არა შემდგარად, ჩამოუშლელად ჩაითვალოს სახელმწიფო, რომელსაც ჰყავს სრულიად უკონტროლო, თავნება, თავქეიფა, ხუშტურებდაუოკებელი, აწყვეტილი მეთაური? შეიძლება თუ არა სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაზე ლაპარაკი იმ ქვეყანაში, სადაც კანონი არ უზენაესობს, სადაც სასამართლო უსამართლოა, სადაც კონსტიტუციას ისე ადვილად ჭრიან და კერავენ, თითქოს თერძის სამაკრატლე-სანემსე მატერია იყოს? სადაც ხალხის დაუკითხავად, რეფერენდუმის ჩაუტარებლად აღმა-დაღმა დააგორებენ პარლამენტს; სადაც ქვეყნის, ხალხის, მოსახლეობის საკუთრება-კუთვნილებას ასე უსირცხვილოდ ყიდიან თუ ასხვისებენ; სადაც მშობლიურ ენაზე მეტ ყურადღებას უცხოურს აპყრობენ, მშობლიურზე წინ აყენებენ და აფასებენ; სადაც, სულ უბრალო მაგალითი, — ჯერ არდაბადებული ბავშვისათვის აბრამის დარქმევისა არ იყოს, აუშენებელ, ჰიპოთეტურ, სულაც ბლეფურ ქალაქს, პარლამენტის საგანგებო გადაწყვეტილებით, განსაკუთრებულ სტატუსს ანიჭებენ?

პარლამენტის ხსენებაზე — როგორ შეიძლება შემდგარად, „არჩამოშლადად“ მიიჩნიო სახელმწიფო, რომლის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, იმის ნაცვლად, რომ აღვირს ამოსდებდეს მოგრიალე-მოჭენავე პრეზიდენტს, ბოდიში და, ფეხსაწმენდივით ქვეშ ეგება? სადაც ამოდენა, „არითმომეტრმიუწვდომელი“ განსხვავებაა სახელისუფლებო-სამთავრობო ელიტისა და „დანარჩენი“ საცოდავი სამსახურისმქონე საქართველოს სახელფასო ანაზღაურებებს შორის?...

მკითხველი, ალბათ, მიხვდა, რომ ჩემი „ჩაუწყობელი“, შეუთანხმებელი შეკითხვები ამით არ მთავრდება და გუნებაში თავად გააგრძელებს ამ „შავ“ სიას...

**ბერდია ბედოიძე**

ვითარება

# „ქართუ ბანკიდან“ ივანიშვილის ჯარიმის ამოღებას მინიმუმ 5 წელი დასჭირდება




(მეხუთე გვერდიდან)

**— ხელისუფლება მიიჩნევს, რომ „ქართუ ბანკი“ ბიძინა ივანიშვილის ხელში ის ინსტრუმენტია, რომელიც მისი თანხების მოძრაობას უზრუნველყოფს და ამიტომ ხომ არ სურთ, რომ ივანიშვილს ეს ბერკეტი ხელიდან გამოაცალონ?**

— სწორედ ამას ვამბობთ, რომ „ქართუ ბანკში“ გატარებული ნებისმიერი ოპერაცია ეროვნული ბანკის თანამშრომლების მხრიდან წინასწარ კონტროლს გადის.

**— ანუ თქვენ გინდათ თქვათ, რომ ამაზე მეტი კონტროლის განხორციელება შეუძლებელია?**

— შეიძლება ხვალ ეროვნული ბანკი გააუქმონ იმის გამო, რომ ამ ნაწილში თავის ფუნქციებს ვერ ასრულებს და მისი უფლებები აღსრულების ეროვნულ ბიუროს გადასცენ, სხვა რა გითხრათ, არც კი ვიცი.

**— ბატონო ნოდარ, შეიძლება ეს პროცესები ბადრი პატარკაციშვილისთვის „სტანდარტ ბანკის“ წართმევას შევადაროთ? არის მსგავსება ამ ორ მოვლენას შორის?**

— გააჩნია, რომელი კუთხიდან ხედავთ თქვენ იმას, რაც მაშინ მოხდა და რაც ახლა ხდება. ყველაფერს აქვს რაღაც საერთო და ძალიან ბევრი განსხვავებაც არსებობს. ასე რომ, მე ნამდვილად არ ვფიქრობ, რომ ამ პროცესში რამე პარალელები მოვძებნო, ეს თქვენი, ჟურნალისტების საქმეა.

**— აღსრულების ეროვნულმა ბიურომ განაცხადა, რომ „ქართუ ჯგუფში“ დაინიშნება იძულებითი მმართველი და კომპანიის მოგებიდან ამოიღებს იმ დავალიანებას, რაც ბიძინა ივანიშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ აქვს დაკისრებული. რა დრო დასჭირდება ამ ყველაფერს და რამდენად რეალურია ასეთი გეგმა?**

— შეიძლება აღსრულების ეროვნულ ბიუროს მიეცეს იმხელა უფლებამოსილება, რომ 190-მილიონიანი ქონება, რომელიც ჩვენ სახელმწიფომ წაგვართვა, დაიბრუნოს უკან და ბანკის მდგომარეობა გააუმჯობესოს. იმ პირობებში, ანუ, თავს რომ არ დაგვესხმოდნენ და ჩვეულებრივად გვემუშავა, გასულ წელს დაახლოებით 17-18-მილიონიანი მოგებით დავასრულებდით. ამდენად, გაყავით 75 მილიონი 17-ზე და ნახავთ, ამ დავალიანების ამოღებას რამდენი წელი დასჭირდება. მაგრამ, როგორ გგონიათ, აღსრულების ეროვნული ბიურო ამის გამკეთებელია?

**— მაშინ რას მოიმოქმედებენ ისინი, გაყიდიან ბანკის ქონებას?**

— მაინც მივდივართ იქამდე, რომ მე მეკითხებით, თუ რას გააკეთებს აღსრულების ეროვნული ბიურო. რაც ეს ინფორმაცია გავრცელდა, მას შემდეგ სულ ჟურნალისტებთან საუბარი მიწევს და ვერ მოვახერხე, რომ კანონში ჩამეხედა, თუ ვის უფლება აქვს იძულებით მმართველს. ამიტომ, ჯერ არ ვიცი, რა უნდა აკეთოს მან გარდა იმისა, რომ ქონებიდან ნაყოფი მიიღოს, ანუ შემოსავალი. ჩემის ღრმა რწმენით, მას ქონების გაყიდვის უფლება არ აქვს და სხვანაირად როგორ უნდა ამოიღოს ეს დავალიანება, თუნდაც უახლოესი 50 წლის განმავლობაში, ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია.

**— ამდენად, ქონების გაყიდვის უფლება იძულებით მმართველს არ აქვს?**

— როგორც მე ვნახე, მას მხოლოდ ქონებიდან ნაყოფის მიღების უფლება აქვს, ანუ ასე ვთქვათ, ხე რომ ნაყოფს მოისხამს, ის შეუძლია წაიღოს, თავად ხე კი — არა.

**— როდესაც პოლიტიკაში ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ „ქართუ ბანკზე“ შეტევა დაიწყო, მაშინ ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ხელისუფლება მასთან დაახლოებულ პირებს, ვისაც ამ ბანკისგან კრედიტები ჰქონდა აღებული, მოუწოდებდა, ეს კრედიტები არ დაებრუნებინათ. როგორ ფიქრობთ, ახლა პირიქით ხომ არ მოხდება, რათა „ქართუ ბანკში“ რაც შეიძლება მეტი თანხის აკუმულირება მოხდეს და ახლა ამ გზით წაიღოს ხელისუფლებამ თქვენი ქონება?**

— ამ თანხების ამოღება ასე ადვილად შესაძლებელი რომ იყოს, ბანკიც ამოიღებდა. სესხთან დაკავშირებით საკრედიტო ხელშეკრულებაა გაფორმებული და ორგანიზაციებს გარკვეული ვალდებულებები აქვთ. წინსწრებით ვერავის დააფარინებ დავალიანებას. ათწლიანი სესხი რომ გქონდეთ აღებული, შეძლებთ რომ იგი დღესვე დაფაროთ? ხოლო თუ ხელისუფლებას შეუძლია, რომ ამ ადამიანებს სესხები დააფარინონ, კი ბატონო, გააკეთონ ასე, მაგრამ სესხის დაფარვა პირდაპირ მოგება არ არის.

აქედან გამომდინარე, უნდა დაველოდოთ სასამართლოს გადაწყვეტილებას. არ გამოვრიცხავ, რომ არც იქ იყოს რაღაც დაკონკრეტებული და მხოლოდ ის ჩაიწეროს, რომ იძულებით მმართველს ქონების განკარგვა ევალება. მაგრამ ვანგა არ ვარ, რომ ყველაზე არაპროგნოზირებადი სახელმწიფო სტრუქტურის, სასამართლოს გადაწყვეტილების პროგნოზირება მოვახდინო.

**— დაბოლოს, ბატონო ნოდარ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის განცხადებით, თქვენ ბიძინა ივანიშვილისა და ეკატერინე ხვედელიძისგან 6 მილიონი ლარი გაქვთ მიღებული, ადასტურებთ ამ ინფორმაციას?**

— 6 მილიონი კი არა, 6 კაპიკიც კი არ მიმიღია. ჩემს პირად ანგარიშზე ალბათ, ახლა 2400 ლარი დევს და საუბარი მილიონებზე არასდროს არ ყოფილა. რაღაცეებს ურევს ქალბატონი მოგელაძე და გაერკვევა, ალბათ, ნელა-ნელა.

**ნინო ჟღენტი**

აკადემია

# „სიხარულით ჩამოვალ სტუმართმოყვარე თბილისში“

**მკითხველს უკვე ვაუწყეთ, თუ ვინ და როგორ მიიღო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრებამ აკადემიის უცხოურ წევრებად: ვინ და — მსოფლიო სახელის 10 გამოჩენილი მეცნიერი; როგორ და — აკადემიური საბჭოს მიერ არჩეულთა და წარდგენილთა ერთხმად დამტკიცებით („სრ“, 4 ივლისი).**




საგულისყურო შენიშვნა გააკეთა მაშინ აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ: **ჩვენ, რასაკვირველია, გვესახელება კიდევ 10 შესანიშნავი საზღვარგარეთელი სწავლულით ეროვნული აკადემიის შევსება, თუმცა, მათთვისაც დიდი პატივია ჩვენი აკადემიის წევრობაო.**

ეს რომ მართლაც ასეა, მკაფიოდ დადასტურდა აკადემიის პრეზიდენტის სახელზე ამ დღეებში მოსული პირველი მადლობის წერილებით, რომლებსაც აქ გთავაზობთ.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ამერიკის მეცნიერებათა ნაციონალური აკადემიის უცხოელი წევრი, ნობელის პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი **ჟორეს ალფიოროვი:**

**დიდად პატივცემულო თამაზ ვალერიანის ძევ!**

**მადლობას მოგახსენებთ იმ მაღალი პატივისათვის, რომელიც დამდეთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრად არჩევით.**

**სიხარულით ჩამოვალ სტუმართმოყვარე თბილისში და შევხვდები კოლეგებს. სტუმრობის თარიღს სექტემბრის დასაწყისში გაცნობებთ, როცა ჩემი სამუშაო განრიგი კორექტირებული იქნება 2012 წლის შემოდგომა-ზამთრისთვის.**

**საუკეთესო სურვილებით, ჟორეს ალფიოროვი.**
**10 ივლისი, 2012 წ.**

დონის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის (დონის როსტოვიძ რექტორი, პროფესორი **ბესარიონ მესხი:**

**ღრმად პატივცემულო თამაზ ვალერიანის ძევ!**

**ნება მომეცით გულითადი მადლობა გადაგიხადოთ პირადად თქვენ და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ყველა წევრს აკადემიის უცხოელ წევრთა რიცხვში ჩემი არჩევის პატივისათვის. თქვენი გადაწყვეტილება ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია, როგორც ჩემი სამშობლოსგან აღიარება. გულწრფელად ვფიქრობ, რომ მეცნიერებასა და განათლებაში ჩემი პირადი დამსახურებებისა და მიღწევების თქვენეული მაღალი შეფასება განუხრელად უკავშირდება დონის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის ინოვაციური სტრატეგიის მხარდაჭერას განათლების პროცესის ჰუმანიზაციასა და ინტერნაციონალიზაციაში.**

**უღრმესი მადლიერებით ვიღებ თქვენს მოწვევას უცხოელი წევრის დიპლომის გადმოსაცემად და თქვენთან პირადი შეხვედრის იმედი მაქვს საქართველოში ჩემი სტუმრობისას 2012 წლის ოქტომბერში.**

**ვსარგებლობ შემთხვევით და გულითადად ვუსურვებ თქვენი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ აკადემიას აყვავებასა და შემდგომ წარმატებებს საქართველოში განათლებისა და მეცნიერების განვითარებასა და განმტკიცებაში, აგრეთვე კიდევ ერთხელ გიდასტურებთ ჩემს უმაღლეს პატივისცემასა და მოწიწებას.**

**ბ. მესხი. 10 ივლისი, 2012 წ.**

ისრაელის ტექნოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი, ამერიკის მეცნიერებათა ნაციონალური აკადემიის უცხოელი წევრი, ნობელის პრემიის ლაურეატი აარონ ჩეხანოვერი:

**შესანიშნავი შეტყობინება მომივიდა და უსაზღვროდ ბედნიერი ვარ. შესაძლებელია თუ არა ფოსტით გამოგზავნა ჩემი დიპლომისა? დიდი სურვილი მაქვს, რომ თბილისში ჩამოვიდე და გეწვიოთ თქვენს მეცნიერებათა აკადემიაში.**

**აარონ ჩეხანოვერი. 6 ივლისი, 2012 წ.**

...ეს მხოლოდ პირველი გამოხმაურებებია ჩვენი ეროვნული აკადემიის „ახალწვეულ“ წევრთაგან...

**თამაზ ებანოიძე**

„სადაურსა სად წაიყვან“

(წიგნიდან „100 ქართველი უცხოეთში“)

# დიმიტრი ამილახვარი

## (1906-1942)



საფრანგეთის არმიის ოფიცერი, ამ ქვეყნის უცხოური ლეგიონის ვიცე-პოლკოვნიკი, ფრანგული წინააღმდეგობის გმირი, დაიბადა ჩრდილოეთ ოსეთში, ჩერმენის რაიონის სოფელ ბაზორკინოში. 1921 წელს ოჯახი თურქეთში გადასახლდა, ერთი წლის შემდეგ — საფრანგეთში, პარიზში.

1924-26 წლებში სწავლობდა ერთობ პრესტიჟულ სა-სირის სამხედრო სასწავლებელში, შემდეგ მსახურობდა საფრანგეთის უხოურ ლეგიონში. 1940 წელს ნორვეგიის კამპანიაში მონაწილე ფრანგულ საექსპედიციო კორპუსის რიგებში იბრძოდა სხვადასხვა ადგილას — ეკვატორული აფრიკიდან ჩრდილო პოლარულ წრემდე. ორი წლის შემდეგ ნორვეგიის უმაღლესი საბრძოლო ჯილდო მიიღო — ნორვეგიის სამხედრო ჯვარი.

ნავრიკთან ბრძოლის შემდეგ, დიდ ბრიტანეთში ევაკუირებული, „მებრძოლი საფრანგეთის“ მოძრაობას შეუერთდა. მონაწილეობდა ქალაქ მასაუის აღებაში (ერიტრეის კამპანია, 1941წ; ქალაქ დამასკის აღებაში (სირიის კამპანიაწ, აგრეთვე ბირ-ჰაკეიმის ბრძოლაში (1942წ.

ელ ალამაინის შეტაკებაში დაღუპულს, სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე წარმოუთქვამს: „ჩვენ, უცხოელებს, მხოლოდ სიცოცხლის შეწირვით შეგვიძლია დავუმტკიცოთ საფრანგეთს ერთგულება“...

დიმიტრი ამილახვარი დაკრძალულია ლიბიის უდაბნოში. საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა მას სიკვდილის შემდგომ საპატიო ლეგიონის ორდენის კავალრის უმაღლესი წოდება მიანიჭა. 1956 წელს სან-სირის სამხედრო სასწავლებლის 143-ე გამოშვებას დ. ამილახვარის სახელი მიენიჭა.

მოამზადა
**თამაზ ილმელმა**

ინფორმაცია

## „მშვიდობით იარაღო“ დაბოლოების 47 ვარიანტით გამოვა

**ივლისის შუა რიცხვებში გამოვა ერნესტ ჰემინგუეის რომანის — „მშვიდობით იარაღო“ — ახალი გამოცემა, რომელიც მოიცავს რომანის დაბოლოების 47 ალტერნატიულ ვარიანტს, ასევე სახელწოდების შავ ვარიანტს, ადრეულ ხელნაწერებსა და ადრე გამოუქვეყნებელ ეპიზოდებს. ახალი გამოცემის გარეკანზე, რომელიც 330 ფურცლისაგან შედგება, იქნება ერნესტ ჰემინგუეის ნახატი.**

ინტერპრესი

## კვალი დროში

# ამაგდარი

## მეცნიერებათა კორიფე და დიდი პედაგოგი



დაბადებიდან 125 წელი შეუსრულდა ჩვენი ქვეყნის მცენარეთა სელექციის, გენეტიკის, მეთესლეობის, გამოყენებითი ბოტანიკის, გენეტიკური რესურსების ერთ-ერთ პირველ მეცნიერს და, საერთოდ, აგრონომიის და ბიოლოგიის მეცნიერებათა კორიფეს, უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლების ერთ-ერთ ფუძემდებელს საქართველოში, საქართველოში მცენარეთა სელექციური და გენეტიკური სკოლის ფუძემდებელს და ამ სკოლის 65 წლის მანძილზე წინამძღოლს, საკუთარი ექსპერიმენტული მასალის საფუძველზე ქართულ, რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნებულ მრავალ მონოგრაფიული ხასიათის და სამეცნიერო ნაშრომების ავტორს, თბილისის ბოტანიკურ ბაღში სელექციის კაბინეტის, სელექციის განყოფილების ფუძემდებელს და მათ საფუძველზე სელექციის სადგურის დამაარსებელს, საქართველოს მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს სახელმწიფო და ნ.ი. ვავილოვის სახელობის პრემიების ლაურეატს, პროფესორ **ლეონარდე ლეონარდეს ძე დეკაპრელევიჩს.**

მეოცე საუკუნის დიდი მეცნიერი და გამოჩენილი პედაგოგი ლ.ლ. დეკაპრელევიჩი მიეკუთვნება ქართველ მეცნიერთა იმ ჯგუფს, რომელთა სახელებითაც ამაყობს ჩვენი ერი.

გამოჩენილი მეცნიერის გამოკვლევათაასპარეზი სცილდება არა მარტო საქართველოს და ახლო საზღვარგარეთის ქვეყნების ფარგლებს, მათი უმეტესობა არის მსოფლიო მნიშვნელობის. მისი გამოკვლევათა ძირითადი მიმართულებაა ბოტანიკური, სისტემატიკური, გენეტიკური, სელექციური და საერთოდ ზოგადბიოლოგიური.

საქართველოში გავრცელებულ მინდვრის კულტურათა შორის წამყვანი ადგილი უკავია ხორბალს და სიმინდს. ხორბლის გვარის კლასიფიკაციაში შედის ლ. დეკაპრელევიჩის მიერ აღმოჩენილი, მსოფლიო მეცნიერებისათვის მანამდე უცნობი, საქართველოს ხორბლის ენდემური სახეობები „მახა" ხორბალი (ვლ. მენაბდესთან ერთად) და „გეორგიკუმი". დიდმა მეცნიერმა თანმიმდევრული და სისტემატური გამოკვლევებით დაასაბუთა, რომ საქართველოს ხორბლის კულტურულ სახეობათა წარმოქმნის მთავარი კერათაგანია და განსაზღვრა საქართველოში წარმოებული ხალხური სელექციის როლი ამ ძვირფასი მცენარის გაკულტურების საქმეში. ეს გამოკვლევები საფუძვლად დაედო ნ.ი. ვავილოვის თეორიას იმის შესახებ, რომ ამიერკავკასია ხორბლის მრავალი სახეობის წარმოქმნის პირველადი გენოცენტრია.

გამოჩენილმა მკვლევარმა ლ. დეკაპრელევიჩმა პირველმა შეისწავლა საქართველოს ხორბლის უძველესი აბორიგენული ჯიშ-პოპულაციები და დაადგინა ამ ჯიშების ეკოტიპები. მან აღნიშნა, რომ საქართველო გამოირჩევა ხორბლის მაღალი პოლიმორფიზმით. შემდგომი გამოკვლევებით იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ხორბლის წარმოქმნის ამიერკავკასიის ცენტრში განსაკუთრებული ადგილი უკავია დასავლეთ საქართველოს, სადაც თავმოყრილია ამიერკავკასიაში გავრცელებული ხორბლის თითქმის ყველა ძირითადი ენდემური სახეობები და, რაც მთავარია, ესენი აქ კულტურაშია. იგი ვარაუდობს, რომ საქართველოს ენდემური „ნახევრად ველური" თავთავმტვრევადი ჰექსაპლოიდური სახეობა მახა უნდა მონაწილეობდეს რბილი ხორბლის წარმოშობაში.

ლ.ლ. დეკაპრელევიჩი აღიარებულია როგორც დიდი გენეტიკოსი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამამულო გენეტიკის განვითარებაში. მის სახელთანაა დაკავშირებული ის ფაქტი, რომ მსოფლიო მეცნიერებაში საქართველო მიჩნეულია ხორბალში გენეტიკური მოვლენის – ჰიბრიდული ნეკროზის აღმოჩენის სამშობლოდ. ახლა ამ მიმართულებით გამოკვლევა მეტად მნიშვნელოვან მიმართულებად იქცა და შექმნილია ოთხი მნიშვნელოვანი ცენტრი: საქართველოში, სომხეთში, სანკ-პეტერბურგსა და მოსკოვში, მსგავსი ცენტრებია შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებშიც.

მეტად მნიშვნელოვანია ლ. დეკაპრელევიჩის გამოკვლევები საქართველოს სიმინდის კულტურის დარგში. მისი პირველი გამოკვლევები დაიწყო საქართველოს სიმინდის შესწავლით და მისი პირველი გამოკვლევა გამოქვეყნდა 1919 წელს. ლ. დეკაპრელევიჩის გამოკვლევებით, საქართველოში სიმინდი დაახლოებით 400 წლის წინათ შემოიტანეს დასავლეთ საქართველოს ჭარბტენიან და ტენიან ზონაში. აქ, მისი გამოკვლევებით, სიმინდს დახვდა შესაბამისი ნიადაგური და კლიმატური პირობები, და მასზე კარგად მზრუნველი და გონიერი ადამიანები, რის გამოც მიუთითებს ლ. დეკაპრელევიჩი, დასავლეთ საქართველოს ეს ზონა იქცა სიმინდის მეორე სამშობლოდ, ამ კულტურამ სწრაფად განდევნა ღომის კულტურა და დაიკავა გაბატონებული მდგომარეობა. მისი გამოკვლევების თანახმად, საქართველოში შემოტანილი სიმინდის კაჟა და კბილა ქვესახეობებს შორის „ბუნებრივი ჰიბრიდიზაციით" წარმოიქმნა „დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი ჰიბრიდული პოპულაცია", სადაც განხორციელდა „ბუნებრივი გადარჩევა" და ქართველ მიწათმოქმედთა „ხალხური სელექციით" ჩამოყალიბდა ამერიკის კონტინენტზე არარსებული ორიგინალურ ფორმათა მრავალფეროვნება. ყველა ეს ფორმა ლ. დეკაპრელევიჩმა გააერთიანა ერთ სახელწოდებაში და უწოდა „ქუთაისური ჰიბრიდი". მანვე მასში გამოავლინა, მეცნიერებისათვის მანამდე სრულიად ახალი ქვესახეობა და მკვეთრად განსხვავებული ახალი ფორმები, რომლებიც წარმოადგენენ მემკვიდრულად განპირობებულ სიმინდის სახეობაში შემავალ ენდემურ ქვესახეობას „დასავლეთ საქართველოს ნახევრადკბილა სიმინდს", რომელსაც აკადემიკოსმა პეტრე ჟუკოვსკიმ უწოდა „დეკაპრელევიჩის სიმინდი", რომელიც შედგებოდა მრავალი სახესხვაობისაგან, რასებისაგან, ფორმებისაგან და ჯიშებისაგან.

დიდია ლ. დეკაპრელევიჩის მოღვაწეობა პედაგოგიურ ასპარეზზე. მან ეს საქმიანობა დაიწყო 1922 წელს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სელექციის მასწავლებლად, ხოლო 1925 წელს ირჩევენ კერძო მიწათმოქმედების კათედრის დოცენტად და გამგედ. ამ ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტთან შეერთების შემდეგ ლ. დეკაპრელევიჩი უნივერსიტეტშია. აქ მუშაობის პარალელურად ხელმძღვანელობს საქართველოში ამ პერიოდში არსებული სართავი კულტურების და სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტებში არსებულ სელექციის კათედრებს, და აგრეთვე აგრონომიულ კათედრას, ამიერკავკასიის 26 კომისრების სახელობის უმაღლეს პარტიულ სკოლაში, სადაც კითხულობდა მცენარეთა სელექციის კურსს. 1936 წლიდან 1973 წლამდე იგი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტშია და განაგებს გენეტიკისა და სელექცია-მეთესლეობის კათედრას, იგი ამ კათედრას უცვლელად ხელმძღვანელობდა 37 წლის მანძილზე, ხოლო 1973-1981 წლებში იყო ამ კათედრის საპატიო გამგე და პროფესორი.

1936 წელს ლ. დეკაპრელევიჩი სისტემატურად ხელმძღვანელობდა ასპირანტების და ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკების მომზადებას. აღზარდა 50-ზე მეტი მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი. იგი იყო არა მარტო ფუძემდებელი მეცნიერული სელექციისა საქართველოში, აგრეთვე სელექციონერთა მრავალრიცხოვანი არმიის შესანიშნავი აღმზრდელიც.

დიდი მეცნიერი ლ.ლ. დეკაპრელევიჩი გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისადავით, თავმდაბლობით და ღრმა ერუდიციით. დაჯილდოებული იყო ენციკლოპედიური ცოდნით და უდიდესი მეხსიერების უნარით, რომელიც შეურყვნელად შეინარჩუნა სიცოცხლის ბოლომდე.

ლ. დეკაპრელევიჩი 31 წლის წინათ, 96 წლის ასაკში გარდაიცვალა, ისე, რომ არ უავადმყოფია. მადლიერმა ხალხმა საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მიაბარა მშობლიურ მიწას. დიდი მეცნიერის სახელის უკვდავსაყოფად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ მისი სახელობის პრემია დააწესა.

ლ. დეკაპრელევიჩმა თავისი ნიჭით, მეცნიერული გამოკვლევებით, აღმოჩენებით, პედაგოგიური მოღვაწეობით, მრავალი კეთილშობილი საქმით დიდი ამაგი დასდო მეცნიერებას და სოფლის მეურნეობას. მან სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი აგრონომიულ და ბიოლოგიურ მეცნიერებებში.

**შოთა ჭალაგანიძე,** **აკადემიკოსი; ოთარ ნათიშვილი,** **აკადემიკოსი; გივი სანაძე,** **აკადემიკოსი; პეტრე ნასყიდაშვილი,** **აკადემიკოსი; ოთარ ლიპარტელიანი,** **სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორები: ვალერი სუხიშვილი, ცოტნე სამადაშვილი, მაკა ნასყიდაშვილი, ნოდარ მერაბიშვილი, ზურაბ ჯინჯიხაძე.**

## ალოობის წინ

**საქართველოში ხორბლის მოსავლის მიღება უკვე დაიწყო. წლეულს ხორბალი 40 ათას ჰექტარზე დაითესა, მოსავალი 38 ათასზე ჰექტარზე მოვა. სოფლის მეურნეობის მინისტრი კასპის რაიონის სოფელ მეტეხში ხორბლის მოსავლის აღების პროცესსაც დაესწრო. ხორბლის მკა სახელმწიფო პროგრამით გადაცემული კომბაინებით მიმდინარეობდა.**

ზაზა გოროზიას განცხადებით, წელს ხორბლის კარგ მოსავალს ელოდებიან, რაც დაახლოებით 100 ათას ტონას შეადგენს. ასეთ მოსაზრებას კატეგორიულად არ ეთანხმებიან სპეციალისტები. იმისათვის, რომ მოსავლიანობამ დასახელებულ ციფრს მიაღწიოს, 1 ჰექტარზე, საშუალოდ, 2,5 ტონა ხორბალი უნდა მოვიდეს. ასეთი მაღალი მაჩვენებელი კი ბოლო წლებში არასდროს აღნუსხულა.

შარშან, როდესაც საქართველოში ჯაგერის ტიპის ხორბალი შემოიტანეს და ქვეყანაში საშუალო მოსავლიანობა თვალშისაცემად გაიზარდა, 1 ჰა-ზე 1,6-1,7 ტონა ხორბალი მიიღეს. წელს მსგავსი ღონისძიებები არ განხორციელებულა, ასე რომ, გოროზიას უწყება 100 ათას ტონაზე ოცნებას უნდა შეეშვას.

**სპეციალისტები ადასტურებენ, რომ მიუხედავად კარგი მოსავლისა, შემცირებული ნათესების გამო, შარშანდელზე ნაკლებ მარცვლეულს მოვიწევთ. წლევანდელი მოსავალი მაქსიმუმ 70-75 ათასი ტონა იქნება.**

**2009 წელს ხორბალი 57,5 ათას ჰექტარზე დაითესა და ეს იყო წინა 5 წლის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი. 2010 წელს ეს კულტურა 50 ათას ჰექტარზე დაითესა და 77,3 ათასი ტონა ხორბლის მოსავალი მოვიდა, შარშან კი ხორბლის ნათესი ფართობები 40 ათას ჰექტრამდე შემცირდა.**

**არადა, იაფი ადგილობრივი ხორბალი ახლა ყველაზე მეტად საჭიროა, რადგან საერთაშორისო ბაზარზე ვითარება მეტად დაძაბულია. ბირჟებზე ხორბლის ფასის პერმანენტული ზრდა 5 ივნისიდან დაიწყო. ბოლო მონაცემებით, 1 ბუშელი მარცვლეულის ფასი 8 დოლარს გასცდა. ეს ნიშნავს, რომ მაისიდან მოყოლებული ხობალი 30%-ით გაძვირდა.**

# პურის ფასი ადგილობრივ მოსავალს ჩამოეკიდა

ბოლო პერიოდში მსოფლიოში ხორბლის ფასის ზრდა, ძირითადად, იმპორტიორ ქვეყნებში გვალვიანმა ამინდებმა განაპირობა. გაჩნდა მოსავლის შემცირების საფრთხე, რაც პროდუქტის ფასზეც აისახა. უკრაინასა და ევროპის ქვეყნებში გვალვის გამო მოსავლის საკმაოდ დიდ ნაწილი გაფუჭდა.



ხორბლის ფასზე გარკვეულ გავლენას ხორბლის მოსავლის პროგნოზიც ახდენს. მეხორბლეთა საერთაშორისო საბჭოს გათვლებით, 2012-2013 წლებში მსოფლიოში ხორბლის საერთო მოსავალი 5 მილიონი ტონით შემცირდება, არსებულ მარაგებში კი 8 მილიონი ტონით. ასეთი პროგნოზის გაკეთება გახდა მიზეზი იმისა, რომ ჩიკაგოს ბირჟაზე ხორბლის ფასმა მოიმატა.

**„შარშან მთელ მსოფლიოში ხორბლის რეკორდულად მაღალი მოსავალი მოვიდა, ამიტომ ფასის სტაბილიზაცია ძველი მარაგების ხარჯზე ხდება. ამ დროისთვის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ მიმდინარეობს მარაგების დათვლა. ამდენად, მარცვლეულის ბირჟები მოლოდინის რეჟიმში არიან.**

**ბოლო პერიოდში ხორბლის ფასი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ეს, რა თქმა უნდა, გარკვეულ გავლენას იქონიებს ფქვილის ფასზე, მაგრამ არა იმდენად, რომ უახლოეს მომავალში პურის ფასის ცვლილება გამოიწვიოს",** – აღნიშნა ამ რამდენიმე დღის წინათ მეხორბლეთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ლევან სილაგავამ.

ხორბლისა და პურპროდუქტების მწარმოებელთა კავშირის ინფორმაციით, ამ დროისთვის ქვეყანა ხორბალს მხოლოდ ყაზახეთიდან ყიდულობს, სადაც ხორბლის დიდი მარაგებია. ყაზახეთი ცდილობს გასული წლის ხორბლის მოსავალი „მოიშოროს", რათა ხორბლის ახალი მოსავალი დააბინავოს. ამიტომ საქართველოში ხორბალი და ფქვილი არ გაძვირდება.

ამის თქმა იყო და **საქართველოში ფქვილის ფასები დიდი სისწრაფით ზემოთ დაიძრა. კახეთში 1 ტომარა ფქვილის ფასი 33 ლარიდან 39 ლარამდე გაიზარდა და დისტრიბუტორები ფქვილის გაძვირებას მომავალშიც ელოდებიან. შიდა ქართლში იგივე რაოდენობის ფქვილის ფასმა 40 ლარს მიუკაკუნა. ფაქტობრივად, ფასები მაღლა-მაღლა ყოველდღიურად მიცოცავს. ამ ტენდენციას მხოლოდ ადგილობრივი იაფი ხორბალი თუ დააბალანსებს.**

მე-4 პურის ქარხნის დირექტორის მალხაზ დოლიძის განცხადებით, თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, პურის ქარხნების მფლობელები იძულებულები გახდებიან პური გააძვირონ. **„ფქვილის ფასი კრიტიკულ ზღვარზეა, ჯერჯერობით, პური არ გაძვირდება, მაგრამ თუ ფქვილის ღირებულებამ ზრდა განაგრძო, იძულებულები ვიქნებით პური ჩვენც გავაძვიროთ",** – ამბობს დოლიძე.

ეკა ბაქრაძე

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილი, როგორც ჩანს, პუტინს არ მიბაძავს

ყველასთვის მოულოდნელი იყო ნაბიჯი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გადადგა, როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი პრემიერ-მინისტრად დანიშნა.

პარლამენტმა სასწრაფოდ მიიღო კანონპროექტი პრემიერის უფლებამოსილების გაზრდის შესახებ; ესტაფეტა გადაცემულია. როგორც ჩანს, სააკაშვილი პუტინს არ მიბაძავს.

მერაბიშვილი კი, შეიძლება ითქვას, საქართველოს მთავრობაში მეორე, ყველაზე უფრო გავლენიანი ფიგურაა. ის ხელმძღვანელობდა საქართველოს პოლიციის ეფექტურ რეფორმებს, ნულიდან დაწყებული მწყობრი პოლიტიკის გამტარებლად მიიჩნევა. მის სახელს უკავშირდება როგორც დანაშაულის შემცირება, ასევე ოპოზიციის საპროტესტო აქციების დარბევაც.

იგი, როგორც დიდი იარაღი, ფარდის უკან მოქმედებდა ჯადოქრის მსგავსად, ფარდის გარეშე კი მერაბიშვილი ისევე ლაპარაკობს, როგორც ნებისმიერი ქართველი პოლიტიკოსი:

„დაგეგმილი მაქვს ვებრძოლო უმუშევრობას, ისევე, როგორც ვიბრძოდი დამნაშავეობისა და კორუფციის წინააღმდეგ მრავალი წლის განმავლობაში“.

3 ივლისს მერაბიშვილმა გამოაცხადა თავისი ოთხწლიანი, 12,2-მილიარდიანი პროგრამის შესახებ ხალხის სარგებლოდ, რომლის ქვაკუთხედი მოქალაქეთა დასაქმება იქნება, ასევე, სოფლის მეურნეობის განვითარება და ჯანდაცვა, იგივე საკითხები, რაც ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა ბიძინა ივანიშვილმა დაუსახა თავის კამპანიას; ეს პაკეტი მოიცავს 3,6 მილიარდ დოლარს, ყოველთვიური პენსიების ოდენობის გაზრდას, 1,8 მილიარდი დოლარის გამოყოფას სოციალური პროგრამებისათვის, 2,4 მილიარდისა – სოფლის მეურნეობისათვის, ასევე 2,4 მილიარდისა – განათლების სფეროსათვის. მერაბიშვილის კიდევ ერთი დაპირება საქართველოში თითოეული ოჯახისათვის დაახლოებით 600-დოლარიანი ვაუჩერების გამოყოფაა. ქვეყნის წლიური ფედერალური ბიუჯეტი დაახლოებით 4,2 მილიარდ დოლარს შეადგენს.

წინამორბედი პრემიერ-მინისტრების სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამებიც კარგად გამოიყურებოდა მხოლოდ ქაღალდზე, მაგრამ გაცხადებული მიზნისაგან სინამდვილეში შორს იყო. განსხვავება ისაა, რომ დღესდღეობით ივანიშვილმა ცეცხლი შეუნთო სააკაშვილის მთავრობას. მერაბიშვილმა ისიც კი აღიარა, რომ „მთავრობამ ძალიან ცოტა რამ იცის უმუშევრობის პროგრამის შესახებ“. მანვე სასწრაფოდ შექმნა დასაქმების ახალი სამინისტრო.

ზოგიერთები იმასაც აღნიშნავენ, რომ მერაბიშვილი თანამდებობრივად დაქვეითდა, რაც უაზრობაა. მან მოსთხოვა სააკაშვილს მის ადგილზე თავდაცვის ექს-მინისტრის ბაჩო ახალაიას დანიშვნა; სხვები მერაბიშვილის ზემოაღნიშნულ პროგრამას საეჭვოდ, მემარცხენედ აღიქვამენ, ყბედობად მიიჩნევენ, ივანიშვილისადმი პოპულისტურ პასუხად თვლიან.

ივანიშვილი კი ამბობს, რომ „მერაბიშვილის დანიშვნა ვერ იხსნის ამ ხელისუფლებას“. ის ნაწილობრივ მართალიცაა, რადგან დანიშვნა თავისთავად აბსურდია, თუკი მთავრობა არ შეასრულებს თავის მიზნებს სამუშაო ადგილების შექმნის სახით. მერაბიშვილის დანიშვნა იმის მაუწყებელია, რომ საკითხის უგულებელყოფიდან 8 წლის შემდეგ, მთავრობა ამჯერად უკვე სერიოზულად ფიქრობს მის წინაშე არსებულ პრობლემაზე.

The Moscow Times

# შეზლონგების როლი ტურისტული ინდუსტრიის აღმშენებლობის საქმეში

**მთავრობაში დაიწყეს მტკიცება, რომ ბათუმში დასვენება წელს, წინა წლებთან შედარებით, 2-ჯერ იაფი დაჯდება. და ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ შეზლონგებისა და ქოლგების დაქირავების ფასის კორექცია ყოფილა. თურმე, ზღვაზე მყოფთათვის გადამწყვეტი როლი ენიჭება ამ ორ კომპონენტს და მათი ხარჯების ლომის წილიც სწორედ ხის ძელსკამებზე მოდის. რაც შეეხება კვებას, საცხოვრებელი ადგილის ქირაობას, ტრანსპორტს და გართობას, ეს იმდენად უმნიშვნელოა, რომ სათვალავში მისაღები არ არის.**

**აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინფორმაციით, იაფი დასვენების პროგრამის ფარგლებში შეზლონგებისა და ქოლგების ქირაობა დამსვენებელს მთელი სეზონის განმავლობაში სიმბოლურ ფასად, 1 ლარად შეუძლია და მასში ერთდღიანი დაზღვევაც შედის.**

**ზღვისპირა ზოლზე 20-მდე სავაჭრო პუნქტი იმუშავებს, სადაც პროდუქცია საბაზრო ღირებულების შესაბამისი ფასებით გაიყიდება. ასევე იმუშავებს რამდენიმე სამედიცინო პუნქტი და დაზღვეულებს პირველად დახმარებას აღმოუჩენს. ბავშვებს კი ანიმატორთა ჯგუფი უმასპინძლებს.**

შეზლონგების და ქოლგების ამბავი ბათუმელ ჩინოვნიკებს კარგად გამოუვიდათ, მაგრამ ვერაფერს უხერხებენ მთავარს – კვების ობიექტებს და სასტუმროებს.

შავი ზღვისპირეთში მდებარე სასტუმროებში აცხადებენ, რომ დეპარტამენტი მათ საკმაოდ დიდ ფასდაკლებას სთავაზობს, რაც მათ ბიზნესისთვის არამომგებიანია. ამიტომ მათ შეთავაზებაზე უარის თქმა უწევთ. მაგალითად, სასტუმრო „სავანის“ მეპატრონის განცხადებით, მათ ტურიზმის დეპარტამენტმა ფასების 40-45%-იანი შემცირება შესთავაზა, რაც წამგებიანი წინადადებაა.

საოჯახო სასტუმრო „ქობულეთს“ აჭარის დეპარტამენტის მხრიდან წამახალისებელი წინადადება ამ დრომდე არ მიუღია, თუმცა სასტუმროში ფასის ცვლილებას გამორიცხავენ. სასტუმროს მეპატრონის განცხადებით, მომხმარებელთა ნაწილს ჯავშანი უკვე გაკეთებული აქვს და ფასს ველარ შეცვლიან. ამ დროისთვის კი სასტუმროს ერთადგილიანი ნომრის ღირებულება 40 ლარს შეადგენს.



მოკლედ, ამგვარი აბრაკადაბრის შედეგია ის, რომ ზაფხულის შუაწელზე ზღვისპირა კურორტები ცარიელია. აჭარაში ტურისტების რაოდენობა შეთხელებულია, თუმცა ამ ყველაფერს ამინდიც „ხელს უწყობს“. მიუხედავად იმისა, რომ შუა ივლისი უკვე მოახლოვდა, კურორტებზე სასურველი ტემპერატურა ვერაფრით დაიჭირა.

სინოპტიკოსები 15-16 ივლისამდე ამინდის გაუმჯობესებას არ პროგნოზირებენ. შავი ზღვის პლაჟებზე „საბანაო“ ტემპერატურა უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში მოსალოდნელი არ არის.

ტურისტული კომპანიების წარმომადგენელთა ინფორმაციით, ამინდთან ერთად, ტურისტული აქტივობისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი მომსახურების მაღალი ფასი და სასტუმროების ტარიფებია.

**„ივლისის დასაწყისისთვის ასეთი პასიური ბათუმი არ მახსოვს. ნაკლები აქტიურობაა და ეს ყველგან იგრძნობა, ფეხის ყოველ გადადგმაზე. ცხადია, ერთ-ერთი მიზეზი უამინდობაა, მაგრამ არსებობს სხვა ფაქტორიც, მათ შორის, მომსახურების მაღალი ფასი.**

**დასვენება სასტუმროებში ძალიან ძვირია. მართალია, კერძო სექტორში დასვენება ნაკლები ღირს, მაგრამ ეს მხოლოდ შედარებით. ფასი საცხოვრებელი ბინის მეპატრონეებმაც გააძვირეს. 15-20 ლარზე ნაკლებად ბათუმში ბინას ველარ იშოვით, რაც შიდა ტურისტების მხრიდან მოთხოვნაზე უარყოფითად მოქმედებს. ჩვენი ორგანიზაცია გარე ტურისტებზე მუშაობს, ძირითად მიმართულებად რუსეთი ავირჩიეთ, მაგრამ შედეგით ჯერჯერობით არ ვართ კმაყოფილი. მოლოდინი გაცილებით მეტი იყო“,** – ამბობს „კალიფსო ტურის“ წარმომადგენელი.

მართალია, დამსვენებელთათვის საკმაოდ არახელსაყრელი პირობებია, მაგრამ ტურიზმის ეროვნული სააგენტოს თავის ჩვენებას „აწვება“. სააგენტოს დაგეგმვისა და განვითარების განყოფილების უფროსის რუსა მამაცაშვილის ინფორმაციით, ყველა ღონისძიება მიზნად იმას ისახავს, რომ დამსვენებელს უამინდობამ დისკომფორტი არ შეუქმნას და მოსაწყენად დრო არ დარჩეს.

**„ამინდის ცუდი გავლენა არ გვიგრძვნია. ყველაფერი კეთდება, რომ ტურისტმა თავი კარგად იგრძნოს და არ მოდუნდეს. ამისთვის ბათუმში სხვადასხვა ღონისძიებები ხორციელდება. თითქმის ყოველდღიურად ეწყობა სპორტული შეჯიბრებები და თეატრალური წარმოდგენები, რითაც კურორტის სტუმრების გახალისებას ვახერხებთ. ამით მოწყენის დრო არ ექნებათ და კარგადაც იმხიარულებენ.**

**სეზონი მაისის შუა რიცხვებში დაიწყო და ჩავარდნა არ გვქონია, შემოსული ვიზიტორების რაოდენობამ 500 000-ს აღწევს, ეს ამ დროისთვის ძალიან კარგი მაჩვენებელია. ვფიქრობთ, საზღვაო სეზონი გაგრძელდება ოქტომბერშიც და მას გრანდიოზული ფესტივალით დავასრულებთ. ცხადია, შიგადაშიგ სხვადასხვა გასართობი და მუსიკალური ღონისძიებებიც გაიმართება“,** – აცხადებს მამაცაშვილი.

ეკა ბაქრაძე,

For.ge

## დედამიწის ზურგზე



რუსეთელმა სენატორებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში წარადგინეს „ფასდაუდებელი“ მოხსენება მაგნიტსკის საქმესთან დაკავშირებით. ისინი სასაცილოდ აიგდეს.

**სენატორების ვიზიტის ძირითადი მიზანი იყო დაერწმუნებინათ ვაშინგტონი არ დაუკავშიროს მაგნიტსკის საქმე ჯექსონ-ვენიკის შესწორებებს. ვიზიტორებმა ამერიკელებს წარუდგინეს მასალა, რომელიც „ნათელს ჰფენს მაგნიტსკის საქმეს“, რითაც ისინი აღაშფოთეს. ერთ-ერთმა ანონიმმა კონგრესიდან დოკუმენტს რუსეთის ფედერაციიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ძველი მასალებიდან გამოწურული და „სულელური სიცრუე“ უწოდა.**

* * *

ექსპერტები: რუსეთის ბაზები შუა აზიაში საფრთხის ქვეშ აღმოჩნდნენ „გარე მოთამაშეების“ გამო

**როგორც გაირკვა, ტაჯიკეთი 201 ბაზისთვის ითხოვს დაახლოებით 250 მილიონ დოლარს წელიწადში. აზერბაიჯანმა გაბალინის რადიოსალოკაციო სადგურისთვის ასევე გადაიხადა მიულებელი თანხა. ახლა კიდევ ფულზე ალაპარაკდნენ ყირგიზეთში, უზბეკეთიც გამოვიდა ხელშეკრულებიდან... „მოსკოვში ბევრს აოცებს, თუ რამდენად სინქრონულად ვითარდება პრობლემები“, – აღნიშნავენ ექსპერტები.**

* * *

აფროამერიკელები სტვენით შეხვდნენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატის რომნის გამოსვლას



**ჰიუსტონის მცხოვრებლები აღმაშფოთებელი წამოძახილებით შეხვდნენ რომნის, როდესაც რესპუბლიკელმა განაცხადა თავისი განზრახვის შესახებ, გააუქმოს რეფორმა ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით, რომელსაც ობამა ახორციელებს. სტვენით შეხვდნენ აგრეთვე ფრაზას იმის შესახებ, რომ ობამა დაგვპირდა შექმნას ახალი სამუშაო ადგილები, მაგრამ ამის გაკეთებას იგი ვერ მოახერხებს.**

* * *

იტალიის პრემიერ-მინისტრმა მარიო მონტიმ ეკონომიკის მინისტრის პოსტი დატოვა

**ხელისუფლებაში ყოფნის მომენტიდან, შარშან ნოემბრიდან, ბერლუსკონის კაბინეტის გადადგომის შემდეგ, მარიო მონტი ასრულებდა ეკონომიკის მინისტრის მოვალეობასაც, შეხვედრებში ამ ხარისხით მონაწილეობდა ევროპელ კოლეგებთან. ახალი მინისტრი ვიტორიო გრილი მისი მოადგილე იყო.**



№133. პარასკევი, 13 ივლისი, 2012 წელი.

# მამული გვთხოვს ამხედრებას

## პოემა



იუზა ჩაკვეტაძე

ერთად ყოფნა გაგვიჭირდა,
ვერ დაძლია ერმა შარი,
მორღვეული კარიბჭიდან
მთვარე გვიცქერს ცრემლგამშრალი.

შავ ღრუბლებში გახვეულან,
თეთნულდი და იალბუზი,
დამიღარა სახე ურვამ,
იმედს მკერდში ტყვია უზის.

გაიელვა, იგრიალა,
წამოსწია თავი ბილწმა,
მზემ სიცოცხლის იდეალმა,
ცის გუმბათი დაივიწყა.

გულს არ ვუშლი მძვინვარებას,
როცა ნათელს ფუთავს ბნელი
ლაჩარია, იმალება,
ნაცარს ქექავს თუთაბერი.

დღეს სიმართლე ნაცემია,
სიბნელეში მალავს სახეს
ვარსკვლავები არ ცდებიან,
ვინ ვინ არის, დამანახეს: —

სხვები მკიან ჩვენს ყანაში,
ბატონებად ვისვამთ მდგმურებს,
უპატრონო ქვეყანაში
ბოროტება ისადგურებს.

მთის ბინული პეშვით შევსვი,
ცივია და ტანში გამცრა,
ფესვებს იდგამს ბილწი წესი, —
ქალი-ქალთან, კაცი-კაცთან.

ზურგში სროლით „მამაცები“,
ერს მარცვავენ გამალებით,
გაიმეტეს ვაჟკაცები
მასონების დავალებით.

აღარ სცემენ პატივს მგოსნებს
და ვინც ქვეყნის დამცველია,
დასცინიან პატიოსნებს,
თავხედობენ, არ რცხვენიათ.

— მომავლისკენ გზა ჩვენია, —
„ცისფერები“ იცინიან,
დრო ბევრი არ დაგვრჩენია
თუ კაცობა სირცხვილია.

გარყვნილებამ დასცა რომი,
სინანული გვიანია,
დღეს კაცობის გასაზომი
ჩადენილი სიავეა.

გონზე მოსვლას ვაგვიანებთ,
ამზადებენ სარეკავებს,
უგვაროს და გვარიანებს
მამულიდან გაგვრეკავენ.

მწუხარება გაგვიგრძელდა,
ეშმაკს კვებავს ღამე ვრცელი,
გათავხედდა მასპინძელთან,
წაუბილწა სარეცელი.

ზღვარი არ აქვს გადაცდომას,
ვარსკვლავები ცვივა მთებში,
თავლაფს ვასხამთ ვაჟკაცობას,
შეჯიბრი გვაქვს სილაჩრეში.

მტკვრის ნაპირი დავიარე,
ვერ ვიპოვე აქ თელები,
აღარ ვტოვებთ სანიავეს,
ვანიავებთ ქართველები.

გამოვალე დარაბები,
გარეთ ისევ ღამე ვნახე,
კვლავ გვართმევენ არაბები,
საბაღეს და სავენახეს.

გული სევდას აუვსია,
თავზე ვისვამთ ქურდს და მემავს,
თუკი სადმე ნამუსია,
ამ ამბავმა უნდა შემრას...

იგესლება მორიელი,
მის სიავეს ბოლოს ვხვდებით,
ცხოვრებაა ბრძოლის ველი
სიკეთის და ბოროტების.

ნისლი ჯანღის ამქარია,
ზეცას მზერა დაუბინდეს,
დაუდევარს, თავქარიანს
ნუ მივანდობთ მამულის ბედს.

წლები სწრაფად იცვლებიან,
ვერ ავკაფეთ ნარ-ეკალი,
ერს რომ აწვიმს, ღვთის ცრემლია,
არ ჩანს ზარის დამრეკავი.

მთვარე ისევ არ ანთია,
შუღლმა გაჰკრა ცას ეშვები,
ჩვენი გზა კვლავ დაღმართია,
ძმათა მტრობას არ ვეშვებით.

ვიღებთ მავნე მაგალითებს,
მე ცდომილთა სულებს თვლიან,
თუ მოასწრეს, გაგვანივთეს,
მერე უკვე სულერთია.

ფართოვდება წარღვნის შარა,
მზე გაჯავრდა, არ ამოვა,
თუკი რწმენა წაიშალა
ყველაფერი ამაოა!..

დაგვემართა ამნეზია
დაგვავიწყდა აფხაზეთი,
მომხდურები აგერ ზიან,
გაგვახსენდა ახლა ღმერთი!

რა გიშველო, მურზაყანო!
როცა ჩვენც არ გვებუდება,
შუბლზე ისვამს მურს სამყარო,
გვთხოვა ბედთან შეგუება.

ვიცი რაა მონატრება,
გულს ხრავს ფუძის ნოსტალგია,
როცა კაცი მონა ხდება,
მწუხარება ორმაგია...

დარდთან ბრძოლით დავიღალე,
ხავსს ამაოდ ვეჭიდები,
აიფარა ჩადრი ღამემ,
ძმას ვემახი, შენ მჭირდები!

ნუ ვთხოვთ შველას გადამთიელს,
გვაქვს წარსულის მაგალითი,
საქართველო გადათიბეს,
დანაკარგებს ახლა ვითვლით.

მას მოვიმკით, რასაც ვთესავთ,
მართალს სიტყვა აღარ ეთქმის,
წაგვართმევენ ბარსაც, მთებსაც,
როგორც ზღვა, ცა აფხაზეთის...

მოვუსმინო წირვას მინდა,
სადღაც, ალბათ, მშვიდი დღეა,
ქართველებო! — ირანიდან
შვება როდის მიგვიღია?..

სიცრუე ზის სამზეოზე,
სიმართლე კი იმალება,
ერთად უნდა დავდგეთ დროზე,
რწმენაშია ბრწყინვალება.

მთა და ბარი მოვიარე,
მახსოვს, მთვარე გარს უვლიდა,
აწმყოთი ვარ მგლოვიარე,
შვებას ვემებ წარსულიდან.

ზეცას უმზერს სანამ თვალი,
და გული მგერს საგულეში,
უნდა ვპოვო სამართალი,
გაუჭირდა ცალ უღელში.

ნეტავ როდის გავირჯებით!
მამული გვთხოვს ამხედრებას,
ნაკურთხია ვაზის ჯვრები,
არ წაბილწონ თავხედებმა.

2011 წლის 11 სექტემბერი.

## ორსტრიქონედები

ეს ცხოვრება აღმართია, ასასვლელად რთული,
რწმენით უნდა აიარო, ვერ გიშველის ფული.

* * *

რომ დარეკა, ღვთის ზარია, ერთად ვზიდეთ ჯვარი ძმებმა,
თუ ეს ღამის სიზმარია, მე არ მინდა გაღვიძება.

* * *

მომხდურისგან კარგს არ ველი, არ გვაქვს მიწა დასაკარგი,
მომავლის გზა გასავლელი, აწმყოშია გასაკაფი.

* * *

ლაჩარი ვერ მალავს სახეს, არ შეისვამს მონას რაში,
ვინაც აწმყოს ატალახებს, ვერ მოხვდება მომავალში.

* * *

ფერი მისდით ფარისევლებს სანთელი რომ ანთია,
მცხეთაში რომ განისვენებს, ქრისტეს წმინდა კვართია.

ცაზე ჯანღს რომ ფანტავს მზეა, მთვარის ეშხმა გადარია,
გამოარჩევს ფანტაზია ცხოველისგან ადამიანს.

* * *

ოდოიას ხმაზე ტალღა ეწმინდება ენგურს,
ქართულისგან არ ვანსხვავებ მე ენატკბილ მეგრულს.

* * *

სიცრუის თქმა მეჯავრება, სიმართლე კი დაგვიკოჭლდა,
სცადეს მათი შეჯავრება, გამოვიდა, — თავის მოჭრა.

* * *

თუმც გვიყეფენ აფთრები და მირს გვითხრიან მელიები,
არსად წავალთ ამ მთებიდან, მამული გვაქვს მშვენიერი.

* * *

რწმენა იმედს გაგვიცოცხლებს, ვაზის კვირტებს მზე ახარებს,
ღმერთო, ერთად დაგვილოცე, საქართველოს ყველა მხარე.

## უფსკრულის პირას

# სპორტსმენები სამოქალაქო დაპირისპირების საშიშროებაზე ალაპარაკდნენ

**ზონდერბრიგადებში მონაწილე სპორტსმენების ვინაობას ამ ეტაპზე ჯერ არ ასახელებენ, მაგრამ ქართველ სპორტსმენებს მიაჩნიათ, რომ ხელისუფლებამ სპორტი პოლიტიზირებულად აქცია, მათი კოლეგები კი არაკეთილსინდისიერი მიზნით გამოიყენა. ამ მხრივ ხელისუფლებისთვის მისწრებაა ძიუდოსა და სამბოს სპორტსმენები. ისინი ზონდერბრიგადების რიგებს ავსებენ...**

ქართველი სპორტსმენები, მათ შორის ოლიმპიური, მსოფლიოს თუ ევროპის ჩემპიონები, საქართველოში მოსალოდნელი სამოქალაქო დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად საერთაშორისო საზოგადოებასა და სპორტულ ორგანიზაციებს მიმართავენ და სპორტსმენებზე ხელისუფლებისგან განხორციელებული ზეწოლისა და რეპრესიების აცილებას ითხოვენ. მიმართვას ხელს 130 მოქმედი თუ ვეტერანი სპორტსმენი აწერს. მიმართვის ტექსტი საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების" სპორტის თემატური ჯგუფის ინიციატივით შეიქმნა.

„თბილისი მარიოტში" დამსახურებული სპორტსმენები საზოგადოების წინაშე წარსდგნენ. აქ იყვნენ ნონა გაფრინდაშვილი, ზურაბ ზვიადაური, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხაბარელი, სოსო ჯაჭვლიანი და სხვანი. ერთადერთი სიტყვა, რაც მათგან ყველაზე მეტად ისმოდა, ეს სამოქალაქო დაპირისპირების საშიშროება იყო. როგორც ჩანს, სპორტსმენთა მხრიდან ასეთი მკვეთრი ტერმინის გამოყენება სპორტის პოლიტიზირებამ განაპირობა.

ღვაწლმოსილი სპორტსმენების თქმით, ხელისუფლებამ სპორტსმენები დაჰყო არა სპორტული მიღწევების, არამედ მისდამი მორჩილების მიხედვით და ქვეყანაში სპორტისა და სპორტსმენთა პოლიტიზაცია მოახდინა. ეს ყველაფერი კი იმის ფონზე მიმდინარეობს, რომ ხელისუფლება ცდილობს, შექმნას ილუზია, თითქოს ჩვენი სახელმწიფო დემოკრატიის გზას ადგას, რითაც შეცდომაში შეჰყავს არა მარტო ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები, არამედ მეგობარი და პარტნიორი ქვეყნები.

„ყოველივე ეს ქვეყანაში სპორტისა და სპორტსმენის ღირსების შელახვას იწვევს. განსაკუთრებით შემაშფოთებელია, რომ ხელისუფლება სპორტსმენებს იყენებს პოლიტიკური ოპონენტებისა და ხელისუფლებით უკმაყოფილო მოქალაქეების დასაშინებლად, დასაჩაგრად და დასასჯელად, ქმნის ჯან-ღონით გამორჩეულ სპორტსმენთა სადამსჯელო რაზმებს, რომლებიც განსაკუთრებით დაუნდობლად უსწორდებიან ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილ ადამიანებს, მათ შორის, სპორტსმენებსა და მათი ოჯახის წევრებს. ეს კი სამოქალაქო დაპირისპირების წინაპირობად შეიძლება იქცეს", — ნათქვამია სპორტსმენთა მიმართვაში.

ქართველი სპორტსმენების თქმით, თავისი არსით, ოლიმპიური მოძრაობა და სპორტი მშვიდობის სამსახურშია და არ შეიძლება, განიხილებოდეს ერთი ან რამდენიმე ჯგუფის კუთვნილებად.

არაერთი სპორტსმენის ხელმოწერას შორის, მიმართვის ტექსტზე ისეთი ცნობილი პიროვნებების გვარებიც ამოვიკითხეთ, როგორებიც არიან მანუჩარ მაჩაიძე, კახი კალაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ოლეგ იაძე, გურამ საღარაძე (მოჭიდავეძ, ვიტალი დარასელია, ლევან ყიფიანი, ლუკა კურტანიძე, გელა კეტაშვილი, ზურაბ აზმაიფარაშვილი, ნოდარ მოდებაძე (თავისუფალი ჭიდაობაძ, ამირან ტოტიკაშვილი, ზურაბ და დათო რურუები (წყალბურთიძ, პაატა ვახტანგიშვილი (ალპინიზმიძ, გივი ჭიჭინაძე (რაგბიძ, მიხეილ წიკლაური (კარატეძ, იოსებ მაღალაშვილი (სამბოძ, რამაზ სანებლიძე (რაგბის დამსახურებული მწვრთნელიძ, გურამ ბიგანიშვილი (აფროსნობაძ, გურამ მინაშვილი (კალათბურთიძ, გიორგი ანჩაბაძე (ფეხბურთიძ, კახაბერ ერგემლიძე (ძალისმიერი სამჭიდიძ და სხვანი. მიმართვის ტექსტზე ხელმოწერები კვლავაც გაგრძელდება.

საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების" სპორტის თემატური ჯგუფის ხელმძღვანელის, ლევან ყიფიანის თქმით, მიმართვის ტექსტს უცხოეთში გადახვეწილი სპორტსმენებიც შეუერთდებიან. ამასთან, მიმართვის ტექსტი, პირველ რიგში, საელჩოებს გადაეგზავნება, ასევე, — გაეროსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ოლიმპიურ კომიტეტს, ევროკავშირს. მისივე განმარტებით, კონკრეტულად, ხელისუფლება დევნის „ქართული ოცნების" წარმომადგენელ სპორტსმენებს, მათ შორის კახი კალაძეს, შოთა ხაბარელს.

გარდა ამისა, რეგიონებში „ქართული ოცნების" მაჟორიტარ კანდიდატებზეც დაიწყეს ზეწოლა და ამის შესახებ ინფორმაციას მოგვიანებით გაავრცელებენ.

**For.ge ცნობილ სპორტსმენებს ესაუბრა.**

**ზურაბ ზვიადაური:** ყველამ ვიცით, რომ სპორტი პოლიტიზირებულია, განსაკუთრებით კი პოლიტიზირებულია ძიუდო. ამის მიუხედავად, რეგიონებში შეხვედრებს ბიძინა ივანიშვილთან ერთად განვაგრძობთ. ჩვენი მომხრეების დევნის თვალსაზრისით, ყველაზე რთული გორი აღმოჩნდა. ჩემი აზრით, აუცილებლად მოხდება იმ სპორტსმენების გამომჟღავნება, ვინც ზონდერბრიგადებში მონაწილეობს.

**ნონა გაფრინდაშვილი:** ეს მიმართვა დღევანდელმა ხელისუფლებამ გაფრთხილებად უნდა აღიქვას. არ შეიძლება, სპორტი პოლიტიკური იყოს. როცა ამდენი მსოფლიო თუ ოლიმპიური ჩემპიონი პოლიტიკურ პროცესებში ერთვება, იმ ქვეყანაში არ შეიძლება საქმე კარგად იყოს. პირადად მე ამდენი წლის ვარ და დღემდე ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო, დამამშვიდებელი და ენერგიის მომტანი არის ჭადრაკის ის სამყარო, რომელ სამყაროშიც ვტრიალებდი. მხოლოდ იმიტომ, რომ შენ არ მოგწონს შენი ხალხის წინააღმდეგ ხელისუფლების მიერ ჩატარებული რეპრესიები და ამ აზრს აფიქსირებ, არ შეიძლება, დევნას განიცდიდე. მე ვარ მოქალაქე, რომელსაც კონსტიტუციური უფლება მაქვს, ჩემი მოსაზრება გამოვთქვა. ამის გამო, ამ ხელისუფლების თვალში, მტერი არ უნდა ვიყო. კარგის მეტი ქვეყნისთვის არაფერი გამიკეთებია. ეს მიმართვა სპორტის გათავისუფლებისთვისაა. სპორტი ქვეყნის სამსახურში უნდა იყოს და არა რომელიმე მმართველის სამსახურში. ამ ადამიანებს, ვინც დღეს მაჟორიტარებად ჩაერთვნენ, სულ არ უნდოდათ მაჟორიტარობა, უნდოდათ, თავიანთი ცხოვრებით ეცხოვრათ და სპორტს გაჰყოლოდნენ, მაგრამ მათი დასაქმება ვერ მოხერხდა, რადგან თურმე საწინააღმდეგო აზრი გამოუთქვამთ ოდესმე.

სამოქალაქო დაპირისპირების შემთხვევები უკვე ვნახეთ. თუ ვინმე 26 მაისს საზიზღრობებს აკეთებდა, გულმოდგინედ სცემდა (ცემა კიდევ რბილი სიტყვააძ ადამიანებს, ზონდერები იყვნენ. დღესაც არის ამის საფრთხე, ყველა რაიონში ჰყავთ ზონდერები, მათ შორის, მოჭიდავეები თუ მოკრივეები, ძალისმიერი სპორტის სახეობების წარმომადგენლები. ესაა უბედურება, როცა სპორტსმენი სპორტსმენის თუ სხვა ადამიანის წინააღმდეგ ძალას გამოიყენებს მხოლოდ იმიტომ, რომ მას უბრძანებენ და ამისთვის ხელფასს უხდიან და პრემიებს აძლევენ.

მე „სახალხო კრების" თავმჯდომარე ვარ, მაგრამ, როგორც სპორტსმენი, ამ მიმართვას ვუერთდები.

**ლევან ყიფიანი:** სპორტსმენებმა გაერთიანება გადავწყვიტეთ, რათა პრევენცია მოვახდინოთ ხელისუფლების ასეთ ქმედებებზე. სპორტმა გაერთიანება უნდა მოახერხოს. სამოქალაქო დაპირისპირება გამოიხატება შეხლა-შემოხლაში, ზონდერების გამოყენებაში. ხელისუფლებისგან დევნის ყველაზე დიდი მაგალითია კახი კალაძის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები. ასეთი რამ დამსახურებული სპორტსმენების წინააღმდეგ არ უნდა ხორციელდებოდეს. ასეთივე ქმედებებს მიმართავენ შოთა ხაბარელის, ზურაბ ზვიადაურის წინააღმდეგ. შესაძლოა, ზონდერბრიგადების წევრები სპორტში ზედმეტად გამორჩენილნი არ არიან, მაგრამ გარკვეული წვლილი ოდესღაც მათაც შეუტანიათ ჩვენს სპორტულ კარიერაში. ამიტომ მნიშვნელოვანია, ეს ხალხი სინდისის ქენჯნამ შეაწუხოს. ნელ-ნელა პრესაშიც და ტელევიზიაშიც იბეჭდება მათი ფოტოები, ისმის მათი გვარები და სახელები. სპორტსმენი-ზონდერები ბევრნი არ არიან. ჩვენ, ამ მიმართვის ტექსტზე ხელმომწერები, უფრო მეტნი ვართ და სხვა არანაკლებ სახელოვანი სპორტსმენებიც შემოგვიერთდებიან. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, მის რეგიონებში გასვლას ვერაფერი შეაფერხებს. პირადად მე ახლა ხაშურიდან ჩამოვედი, ნახევარ საათში ისევ დავბრუნდები, რომ იქაურ მოსახლეობას შევხვდე და გავაგებინო, თუ რა ხდება რეალურად საქართველოში. სოფლის მოსახლეობა ინფორმაციის წარმოუდგენელ ვაკუუმში იმყოფება.

**შოთა ხაბარელი:** სპორტსმენებს გვინდა, ქვეყანა მართლაც ქვეყანას დაემსგავსოს. ხელისუფლებისგან პირადი ზეწოლა, ქონებაზე ზეწოლა ხორციელდება. არა მარტო ჩემს ბიზნესს შეეხო ეს, რაც მის ჩამორთმევაში გამოიხატა და ჩემს ბიზნესს ყადაღა დაადეს, არამედ ყველანაირი ფორმით ცდილობენ, ზეწოლა განახორციელონ იმისთვის, რომ ჩვენ განსხვავებული აზრი დავაფიქსირეთ. დარწმუნებული ვარ, საერთაშორისო საზოგადოებისადმი ჩვენს მიმართვას მსოფლიო ორგანიზაციები გულისყურით მოეკიდებიან, რადგან მთელი მსოფლიოსთვის საქართველო ერთ-ერთ სპორტულ ქვეყნად მოიაზრება, ამიტომ, შესაბამის რეაგირებას მოველით. ზონდერბრიგადები მალე გამოვლინდება, უკვე ცნობილია ამ ადამიანების მონაცემები, ხმამაღლა ჯერ ვერ ვიტყვით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ისინი თავადვე მიხვდებიან, რომ ეს ძალიან უღიერი საქციელია და ამას ქართველი სპორტსმენი არ უნდა სჩადიოდეს.



**სოსო ჯაჭვლიანი:** ზონდერბრიგადის წევრები გადაღებულნი არიან, მათი სურათები არსებობს და თავის დროზე ყველა ადამიანი მხილებულ იქნება და პასუხსაც აგებს. ნებისმიერ სპორტის სახეობას მიეკუთვნებიან ეს ზონდერები. რა, ნაძირალა არ შეიძლება ყველგან იყოს?! ბოლოს და ბოლოს, ოჯახში ერთი ნაძირალა შეიძლება, გამოიპაროს.

**მურად იზორია:** ამდენი უსამართლობა ხდება ქვეყანაში, განსხვავებული აზრის გამო დევნიან სპორტსმენებს. რამდენი მსოფლიო ჩემპიონია გადახვეწილი სხვა ქვეყანაში და იმ ქვეყნის სახელით ასპარეზობენ?! მე მოჭადრაკეებზე მოგახსენებთ. ქართველი მოჭადრაკეები ესპანეთის ან შოტლანდიის სახელით გამოდიან. ჩვენი ჭადრაკის ნაკრების ტოლფასოვანი გუნდი საზღვარგარეთ იმყოფება, ამიტომაც შედეგი არ გვაქვს მამაკაც მოჭადრაკეებში. საინტერესოა, რომ როცა ყველა სპორტსმენი გამოვიდა თავისი აზრის დასაფიქსირებლად, რატომღაც მოჭადრაკეები იკავებენ თავს. არადა, ბიძინას ფულებით მიდიოდნენ ევროპის, მსოფლიოსა თუ სხვა ასპარეზობაზე, ოლიმპიადაზე. ცალკეულ მოჭადრაკეებს, ვეტერანებს თუ ახალგაზრდებს, ბიძინა აფინანსებდა. ის მოჭადრაკეები, რომლებიც საქართველოში კაბალურ პირობებში იმყოფებიან, უნდა დადგნენ ბიძინას გვერდით და, ახლობლებისა და ნათესავების დაშინების გამო, არ უნდა შეჩერდნენ.

**მანანა ნოზაძე**
For.ge

## სპორტული ცეკვები

# შვიდეულის რჩეულნი

**რვა ქვეყნის 300-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა სპორტული ცეკვების საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც ბათუმმა უმასპინძლა. აჭარის სპორტული ცეკვების ასოციაციის (პრეზიდენტი ნინო ქავზინაძე) ინიციატივით ეს შეჯიბრება წლეულს მეხუთედ გაიმართა. განსაკუთრებული ინტერესი ლათინურამერიკულმა ცეკვებმა გამოიწვია, რადგან საერთაშორისო რეიტინგისთვის საკმაოდ მაღალ ქულებს (პირველი ადგილი — 240 ქულა) იძლეოდა. მედლებისთვის 37 წყვილი იბრძოდა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე თბილისის „თელას" მოცეკვავეები — ვიქტორ ბურჭულაძე და კატერინა კოზმა ავიდნენ, რომლებსაც საერთაშორისო კატეგორიის შვიდივე არბიტრმა პირველობა არგუნა.**

— ბურჭულაძე წარმოშობით ბათუმელია. კარგა ხნის წინათ მისი მშობლები რუსეთში წავიდნენ სამუშაოდ და საცხოვრებლად. ვიქტორმა 14-წლიანებში, როდესაც მოსკოვის სახელით გამოდიოდა, მსოფლიოს და ევროპის პირველობები მოიგო. 18 წლისა წლეულს ჩვენს ფედერაციაში გადმოვიდა. უკრაინელ კოზმასთან ერთად უკვე მესამე ტურნირში იმარჯვა. აგვისტო-სექტემბერში გერმანიისა და პოლონეთის დიდ პრიზებზე მოსინჯავს ძალებს, ნოემბერში კი მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებს. იმედია, იქაც გვასახელებს —



გვითხრა საქართველოს სპორტული ცეკვების ფედერაციის პრეზიდენტმა თენგიზ გაჩეჩილაძემ...

ბათუმის ტურნირზე მეორე ადგილი გენადი ცინკევიჩმა და მზია ორველაშვილმა (ბელარუსიძ დაიკავეს. მესამე ადგილზე უკრაინელები — ანდრეი ფედორენკო და იანა მინაევა გავიდნენ.

ახალგაზრდებმა ევროპულ ცეკვებში იასპარეზეს. აქ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ირაკლი ძაძამია, თამარ ტურაშვილი (თბილისიძ, 2. თეიმურ გადიროვი, ჯამილა ჩერნოვა (ბაქოძ, 3. ამირან ბახტაძე, ქრისტინე მალაყმაძე (ბათუმიძ.

**ლექსო ცინცაძე**

## კალათბურთი

# ევროპული კონტურები

**შარშანდელი ქართული საკალათბურთო სეზონის ყველა ტურნირის გამარჯვებული „არმია" წლეულს ზედიზედ მეორედ ითამაშებს ევროჩელენჯზე.**

**ამ დღეებში გერმანიის ქალაქ ფრაიზინგში გამართულმა კენჭისყრამ გამოავლინა თავდაცვის სამინისტროს გუნდის მომავალი მეტოქეები ჯგუფურ რაუნდში.**

ესენი არიან ბელგიის ბოლო ჩემპიონატის ნახევარფინალისტი „ანტვერპენი", რომელსაც იქაური ნაკრების თავკაცი წვრთნის, ისრაელის ეროვნული პირველობის მესამე პრიზიორი „ჰაპოელ ჰოლონი" და გერმანიის „ტელეკომი", სადაც ახლახან ნბა-ს ყოფილი ვარსკვლავის პატრიკ იუინგის ვაჟი ჩაირიცხა.

როგორც არმიელთა დამრიგებელმა კოტე ტულუშმა გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ განაცხადა, მისი შეგირდები ძლიერ ჯგუფში მოხვდნენ და მომდევნო ეტაპზე გამსვლელ I-II ადგილებზე მოსახვედრად ურთულესი ბრძოლების გადატანა მოუწევთ.

რაც შეეხება ლეგიონერებს, პუერტორიკოელი გილიერმო დიასის წასვლის შემდეგ, კლუბის მესვეურთა სურვილის მიუხედავად, ჯერჯერობით უცნობია, მოხერხება თუ არა შვედი იოაკიმ შელბომისა და ამერიკელების — ბენჯამინ ვუდსაიდის, უილიამ თომასისა და ჯერემი რიჩარდსონის შენარჩუნება. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი ამჟამად ნბა-ს საზაფხულო ლიგაში თამაშობს და „ფილადელფიაში" აპირებს კარიერის გაგრძელებას.



ხსოვნა

# აკადემიკოსი გიორგი ციციშვილი

ქართულმა მეცნიერებამ, ქვეყნის სამეცნიერო ინტელიგენციამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ქართული ქიმიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი **გიორგი ვლადიმერის ძე ციციშვილი**.

აკადემიკოს გიორგი ციციშვილს არსებითი წვლილი მიუძღვის ფიზიკური ქიმიის ისეთი მნიშვნელოვანი დარგების განვითარებაში, როგორიც არის ნივთიერების აღნაგობა და სორბციული პროცესები. ბატონმა გიორგიმ შექმნა ქართული ადსორბციული სკოლა და საფუძველი ჩაუყარა ზედაპირული მოვლენების ქიმიის განვითარებას საქართველოში.



გიორგი ციციშვილი დაიბადა 1915 წლის 24 ოქტომბერს ქ. თბილისში ექიმის ოჯახში. 1931 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და 1932 წელს შევიდა ამიერკავკასიის ინდუსტრიულ ინსტიტუტში ქიმიურ-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე. ქიმიის და ფიზიკის უფრო ღრმად შესწავლის მიზნით, 1935 წელს იგი გადავიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1937 წელს და ჩაირიცხა ასპირანტურაში. გ.ციციშვილი საასპირანტო კურსის გასავლელად 1938 წლის დასაწყისში მივლინებული იყო ქ. მოსკოვის ბ. კარპოვის სახელობის ფიზიკურ-ქიმიურ ინსტიტუტში. აქ მოამზადა და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1940 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე უფროს მასწავლებლად, ხოლო 1942 წლიდან – დოცენტად.

1947 წელს ბატონმა გიორგიმ დაიცვა დისერტაცია ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ორი წლის შემდეგ იგი თბილისის უნივერსიტეტის ქიმიის კათედრის პროფესორი გახდა.

1941 წელს მან მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტში, ხოლო 1947 წლიდან იგი ამ ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა და არჩეულ იქნა ფიზიკური ქიმიის ლაბორატორიის გამგედ.

აკადემიკოს გიორგი ციციშვილის ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა ჩატარდა ამ ინსტიტუტის სტრუქტურის და ძირითადი სამეცნიერო მიმართულებების განსაზღვრისა და დახვეწისათვის. სულ მალე ეს ინსტიტუტი ერთ-ერთ აღიარებულ სამეცნიერო ცენტრად გადაიქცა.

1950 წელს ბატონი გიორგი ციციშვილი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1960 წელს – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

გიორგი ციციშვილის გამოკვლევათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია კვლევები მოლეკულური ურთიერთქმედების დარგში, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა მნიშვნელოვანი ამოცანა მოლეკულებს შორის განზიდვაზე პოლარობის გავლენის შესახებ და შემუშავდა მისი გადაწყვეტის კვანტურ-ქიმიური მეთოდი.

ბატონი გიორგი საქართველოში ბუნებრივი ცეოლითების კვლევის, წარმოების ორგანიზაციის და სახალხო მეურნეობაში გამოყენების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი გახლდათ. მისი მეცნიერული და ორგანიზაციული მუშაობის მეოხებით თბილისი ცეოლითების კვლევისა და გამოყენების წამყვან ცენტრად იქცა. ამის დამადასტურებელია ის, რომ ქართველი მეცნიერის მიერ ჩამოყალიბებული ცეოლითების საქართველოს ასოციაცია მიღებულ იქნა ცეოლითების ასოციაციების ევროპულ ასოციაციაში, ხოლო თვითონ გიორგი ციციშვილი შეყვანილ იქნა ევროპული ასოციაციის ფედერაციის შემადგენლობაში.

1965 წელს გ.ციციშვილის, თ. ანდრონიკაშვილის და გ.ბაგრატიშვილის ნაშრომთა ციკლი, რომელიც მიეძღვნა სინთეზური ცეოლითების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შესწავლას, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემიით აღინიშნა. 20 წლის შემდეგ გამომცემლობა „ქიმიამ" (მოსკოვიძ გამოსცა გ. ციციშვილის, თ.ანდრონიკაშვილის, გ.კიროვის, ლ. ფილიზოვას წიგნი – „ბუნებრივი ცეოლითები". მოგვიანებით ეს მონოგრაფია დაჯილდოვდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის პრემიით. შემდგომ გამოვიდა ამ წიგნის თარგმანი პოლონურ (1990 წ.ძ და ინგლისურ (1992 წ.ძ ენებზე. ამ ნაშრომებმა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის აკადემიკოს გიორგი ციციშვილს საქართველოში ქიმიური მეცნიერების განვითარების საქმეში. თითქმის სამი ათეული წელი ბატონი გიორგი უნარიანად ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილებას და ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა განყოფილებაში შემავალი ინსტიტუტების სამეცნიერო კვლევა-ძიების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის.

1975 წელს აკადემიკოს გიორგი ციციშვილის ინიციატივით დაარსდა ჟურნალი „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნეს ქიმიური სერია", რომლის მთავარი რედაქტორი 15 წლის მანძილზე თვითონ ბრძანდებოდა.

დიდია გიორგი ციციშვილის დამსახურება ახალგაზრდა თაობის აღზრდის, საქართველოში სამეცნიერო კადრების მომზადების კეთილშობილურ საქმეში. ამის ნათელი დადასტურებაა მისი ხანგრძლივი ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

გიორგი ციციშვილმა დიდი დრო და ენერგია მოახმარა საერთაშორისო თუ რესპუბლიკური სამეცნიერო საზოგადოებების, საბჭოების, კომიტეტებისა და კომისიების მუშაობას. მისი თავდადებული შრომის შედეგად 2004 წელს გამოიცა ოთხენოვანი ქიმიური ლექსიკონი, რითაც ქართველი ერისათვის საშვილიშვილო საქმე გაკეთდა.

გიორგი ციციშვილის დიდი ღვაწლი ქართული მეცნიერების განვითარებაში სათანადოდაა დაფასებული. იგი დაჯილდოებული იყო მთავრობის მრავალი ორდენითა და მედლით.

აკადემიკოს გიორგი ციციშვილის გარდაცვალება უაღრესად დიდი დანაკლისია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისათვის, მთლიანად საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებისათვის.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

გახსენება

# ირაკლი ანდრიაძე



ირაკლი ანდრიაძის მეგობრებს და იმათაც, ვინც მას ახლოს იცნობდა, მოწოდება მისი ხსოვნის არდავიწყების შესახებ ნამდვილად არ სჭირდებათ. ბატონი ირაკლის, ამ სულითა და ხორცით ბრწყინვალე და ლამაზ ადამიანს, დავიწყება არ უწერია.

14 ივლისიდან ირაკლის სული ოჯახს დატოვებს და ზეციურ სამყაროს მიაშურებს. მისთვის ნათელი სასუფევლის დამკვიდრებას უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით შემკული სამების საკათედრო ტაძრის მადლი ითავებს. მას ხომ დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ ტაძრის მშენებლობაში.

სიმბოლურია და ირაკლი სამუდამო სასუფეველს ასხივოსნებს ის, რომ იგი ნაეკლესიებ წმინდა მიწაზეა.

იმ დიდ მწუხარებას, რასაც მეუღლე, ქალბატონი ციალა, შვილები და შვილიშვილები განიცდიან ირაკლისთან განშორების გამო, ასევე მწვავედ განიცდიან მისი მეგობრებიც.

ირაკლი ანდრიაძის მიერ განვლილი დიდი, შინაარსიანი და ლამაზი ცხოვრება მისი არდავიწყების მტკიცე საწინდარია.

ამ გრძნობით ემშვიდობებიან მის სულს მისი ოჯახის წევრები, ახლობლები და კოლეგები.

მეგობრები

ლელა, ლევან გაბრიჩიძეები, მელორ, მერაბ ტყეშელაშვილები, ზაზა, გია ქათამაძეები, კახა ბაკურაძე, ავთანდილ იაშვილი, ვანო ზოდელავა, ფრიდონ ინჯია, დავით ბენიძე, კახა კვიციანი, ლადო კვარაცხელია, გოჩა ყანჩაველი, გია მიქელაძე, გურამ ახალაია, მუხრან ბაგრატიონი, ტარიელ რაზმაძე, რეზო ხვედელიძე ოჯახებით იუწყებიან

**ნელი გელაშვილი-გადელიას**

გარდაცვალებას.

ინფორმაცია

## ლილოში ქლორის გაჟონვის საქმეზე კიდევ ერთი ადამიანი დააკავეს

**ლილოში** ქლორის გაჟონვის საქმეზე სამართალდამცველებმა შპს „სენტიმენტ ჯიემსის" ხელმძღვანელი გოჩა ყულეჭიშვილი დააკავეს.

დაკავებულ შპს „სენტიმელ ჯიემჯის" წარმომადგენელს გოჩა ყულეჭიშვილს, ბრალი ედება 288-ე მუხლის მე-3 ნაწილით - გარემოსთვის საშიში ნივთიერებისადმი ან ნარჩენებისადმი მოპყრობის წესის დარღვევა , რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. დაკავებულს ბრალს 24 საათის განმავლობაში წაუყენებენ.

შეგახსენებთ , რომ 6 ივლისს, ლილოს დასახლებაში ქლორის გაჟონვის ფაქტზე, დააკავეს „კრისტალის" ხელმძღვანელი ლევან დაუთაშვილი – მასაც ბრალი ედება 288-ე მუხლით, რაც ითვალისწინებს 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

ლილოს დასახლებაში ქლორის ავზის გაჟონვის შედეგად 73 ადამიანი მოიწამლა.

ინტერპრესნიუსი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

ჩვენი კარაბადინი

### დაჭიმვა სასარგებლოა სახსრებისთვის

**ვარჯიში დაჭიმვაზე, მისი გარედან ერთი შეხედვით სიმსუბუქისა, წარმატებით გვაცილებს თავიდან სისუსტესა და კუნთების ატროფიას და მათ ნაცვლად ცხიმის დაგროვებას.** პორტუგალიელი მეცნიერების ახალმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ დაჭიმვა ყველა სხვასთან ერთად აუმჯობესებს სახსრების შრომისუნარიანობას და ამცირებს ასაკობრივი ართროზებისგან ტკივილის შეგრძნებას. გამოიკვლიეს 50 წელზე უხნესი ქალები და მამაკაცები, რომლებიც ასრულებდნენ დაჭიმვაზე დინამიკურ და იზომეტრულ ვარჯიშებს 12 კვირის მანძილზე. აღმოჩნდა, რომ მათ სხეულში 15 პროცენტით ნაკლები ცხიმია, ვირე მათი თანატოლებისა. მათი სახსრები კი მუშაობენ თითქმის ისე, როგორც 20 წლით ახალგაზრდებისა, რომლებიც არ ვარჯიშობდნენ!

### გზა ჯანსაღი კბილებისკენ

**სიმსუქნე მხარდამხარ მიჰყვება იმ ქსოვილების დაავადებას, რომლებიც კბილს აკრავს, მათ შორის იოგებისაც, რომლებიც მას ყბასთან აერთებს, ასეთი დამოკიდებულება დაადგინეს ამერიკელმა მედიკოსებმა.** საინტერესოა, რომ, როდესაც ადამიანები გახდებოდნენ, პაროდონტთან დაკავშირებული პრობლემები მათ უკვე ნაკლებად აწუხებდათ. თანაც ეს შეეხებოდა როგორც გახდომას დიეტოლოგიური მეთოდებით, ისე წონის დაკლებას ლიპოსაქციის დახმარებით.

### მეორე ახალგაზრდობა

**ზედმეტი წონის დაკლებამ და ფიზკულტურულმა ვარჯიშებმა ადამიანი შეიძლება გახადონ უფრო ჯანმრთელი, ვიდრე ის ახალგაზრდობაში იყო, ამბობენ ამერიკელი მკვლევარები. მათ გააანალიზეს სამი ათასზე მეტი პაციენტის მონაცემები.** 1985 წელს 18-30 წლის ასაკში ყველა მათგანს ჰქონდა გულის კორონარული დაავადების გაზრდილი რისკი. 24 წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ 44 პროცენტს ეს რისკი მინიმუმამდე შეუმცირდა და მხოლოდ 24,5 პროცენტს ემუქრებოდა კორონარული დაავადების საფრთხე ან ჰქონდა იგი უკვე. რას აკეთებდნენ ის ბედნიერები, ვინც გამოჯანმრთელდა? ყველა მათგანმა დაიკლო სხეულის მასა, შეამცირა ალკოჰოლის მიღება, თავი დაანება მოწევას, იკვებება სწორად და ბევრს მოძრაობს.

### გინდა სწორად იკვებებოდე?

**ფიზიკური ვარჯიშების ჩვეულება აყალიბებს სწორად კვების ჩვევასაც, აღმოაჩინეს მკვლევარებმა ჰარვარდის უნივერსიტეტიდან (ამერიკის შეერთებული შტატები). მათ ანალიზი გაუკეთეს რამდენიმე ათასი კაცის მონაცემებს.** აღმოჩნდა, რომ როდესაც ადამიანი რეგულარულად ასრულებს ვარჯიშებს, დარბის, ის თანდათანობით უარს ამბობს ცხიმიან, ზედმეტად ტკბილ პროდუქტებზე, ნაკლებად მიირთმევს ფასტფუდსა და ნახევარფაბრიკატებს. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ორგანიზმი იწყებს როგორც ზედმეტი წონისაგან გათავისუფლებას, ისე ზედმეტი „ქიმიისგანაც", რათა გაუძლოს რეგულარულ ფიზიკურ დატვირთვას, ბიოლოგიურ დონეზე ყალიბდება მიდრეკილება ნატურალური, სასარგებლო საკვებისადმი.

ЗДОРОВЬЕ

ინტერნეტიდან

# ტუტუცუ, რა უტვინო ყოფილხარ!

## „აყმუვლდნენ პინგვინები...“



პირველი არხის სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა გიგა ნასარიძემ და მისმა მეგობრებმა ირაკლი ლიქვინაძემ, ირმა ჩარკვიანმა და ია ხიზანიშვილმა არასამთავრობო ორგანიზაცია დააარსეს. არასამთავრობო ორგანიზაციის სახელია „საქართველო არ იყიდება“.

გიგა ნასარიძემ „ტრიბუნასთან“ საუბარში აღნიშნა, რომ ორგანიზაციის მიზანია, საზოგადოებას გააცნოს ბიძინა ივანიშვილის რეალური გეგმები.

„ჩვენი მიზანია მოსახლეობას მივაწოდოთ ინფორმაცია ბიძინა ივანიშვილის გეგმების შესახებ — რაში უნდა, რომ დახარჯოს თავისი დიდი ფული. მას სურს, რომ საბჭოთა კავშირში დააბრუნოს ქვეყანა. ის ხშირად ამბობს ხოლმე, რომ მისტირის საბჭოთა პერიოდს და აპირებს ყველას და ყველაფრის ყიდვას. ჩვენ გვინდა, რომ ბიძინა ივანიშვილს ვუთხრათ — საქართველო არ იყიდება! ის ვერ იყიდის ვერაფერს და ვერ ჩააბარებს რუსეთს,“ — განაცხადა გიგა ნასარიძემ.

მისი თქმით, იმ მასალების მოპოვებას, რომლითაც ივანიშვილის მხილებაა შესაძლებელი, თავად მის გამოსვლებშივე იპოვის.

„საქმე ისაა, რომ ბიძინა ივანიშვილი თვითონ არ მალავს მსგავს სურვილებს. ხშირად ამბობს, რომ საბჭოთა საქართველო მოენატრა და სურს წარსულში დაბრუნება. პირველივე გამოსვლებში მან თქვა, რომ იგი იყიდის ყველა ტელევიზიას და მერე სამჯერ ძვირად გაყიდის. მისსავე საჯარო გამოსვლებში ხშირად ფიქსირდება ეს განზრახვები. ამიტომ ვფიქრობ, რომ ამის შეგროვება არ გაჭირდება,“ — განაცხადა ნასარიძემ.

მისივე განცხადებით, ზემოხსენებული მასალები ფართომასშტაბიან კამპანიას მოიცავს და საჯაროდ გამოქვეყნდება.

„ ჩვენი კამპანია მოიცავს ინტერნეტსაც, ტელევიზიებსაც და სხვა საშუალებებსაც. კამპანია საკმაოდ ფართო იქნება. დღეს დავფუძნდით და ხვალიდან შევუდგებით საქმეს,“ — განაცხადა ნასარიძემ.

აი, კომენტარებიც ინტერნეტიდან: (სტილი დაცულია)

**ქიზიყი:** „სადღა არის საბჭოთა კავშირი თქვე დედააფეთქებულებო და სად უნდა დაგვაბრუნოთ?“

ნასარიძე, სირია. ხოდა, გიგა, ვისზე ყიდით საქართველოს? ქართველებზე არა და... სხვებზე, დედა უტირე, რიგი გიდგათ! რუსებზე, ყაზახებზე, ჩინელებზე და სხვებზე ხოო? ქართველზე არა?“

**მართალა:** „ვაი შენს პატრონს გიგა, უი იმათ პატრონებს, ვინც ეს დაგავალა. მეტი სათქმელიც არაფერია. ასეთები რომ არიან სამეთვალყურეო საბჭოში, ბალანსს როგორ დაიცავენ, მიკვირს.“

**ANONYMOUS:** „აყმუვლდნენ პინგვინები“.

:))ძ: „გიგას რომ ვუყურებ, კუჭი მეშლება!“

**მე:** „მორჩა კინო, გიგა და თავს ნუ გაიმეტებ, დაფიქრდი“.

**ანა:** „ტუტუც,შენ კაი გამოცდილი იქნები აი“.

**ნინიკო:** „ნეტავ საქართველოში ივანიშვილის ქონების გარდა რა დაგრჩათ გასაყიდი? ამ ორგანიზაციისათვის უნდა დაგერქმიათ „საქართველო ველარ გაიყიდება,“ არაფერია დარჩენილი, თანაც ივანიშვილი იყიდის რკინიგზას და არ გვაწყობს.

საზოგადოებამ უკვე დიდი ხანია კარგად გაიგო ბიძინას რეალური გეგმები, რომ მარტო შენნაირების არაა ეს ქვეყანა. და უნდა ხალხს სამართალი და უკანონოდ სხვებისათვის წაგლეჯილი ქონება დაუბრუნოს, რისთვისაც მთელი საქართველო მხარს დაუჭერს.“

**ამადეუსი:** ****** წვერ- ულვაშით რასა ჰგავხარ, შე ვირო, შენაა! ფუჰ, ჭკუასაც რომ გვარიგებს“...

**ANONYMOUS:** „ რა გეშველებათ. ეძებთ კომპრომატებს და ვერ პოულობთ, არა? თქვე საცოდავებო, ანუ ეძებთ კატას ბნელ ოთახში, როცა ის იქ საერთოდ არ არის. ხა, ხა, ხა.... მახათი გირჩევნიათ.“

**ციც:** „ეხ სად გაქვთ თვალები....გაყიდვას უპირებსო, იძახის და ნახევარი საქართველო ჩვენ პრეზიდენტს უკვე გაყიდული აქვს რუსეთზე... ცოტა აზრზე მოდით. და თუ მართლა საქართველოს ბედი გაწუხებთ, თვალები გაახილეთ და ოზიექტურები იყავით...

**გელა:** უხ შენი, ვინ გაფინანსებს ნასარიძე? ვის ეძახი გამყიდველს, შე საცოდავო, გამყიდველი შენი პრეზიდენტია. გაყიდული კაცი რომ ასეთ ორგანიზაციას დააარსებს, ხომაა სასაცილო?

ესაა კარდუ, გიგა ნასრიძე (Насридзеძ !!!ჰა ჰა ჰა შე ***....

**მე ვარ:** „ვაი შენს პატრონს! უბედურო ასინეთავ!!!“

**კიკოლა:** „გიგა შენი ბლანჟე ქალის ერთ ადგილს მაგონებს, რას ილანძღავ თავს ბიძია, რაც აქ დაგიწერეს, ყველა რომ მოგხვდეს, ფეხზე ვერ დადგები.“

**იასე:** „ღმერთო, ეს გრძელისტები რა ბილწები არიან! როგორი უტიფრები, ურცხვები და ქართველთ მოძულეები! საკვირველია, რომ მათ შორის ბევრი ქართველია! წყეულიმც იყავთ!“

**ქართველი:** დაფიქრდი

„მიშამ არ იცი რა გიქნა?

შენში ნამუსი გაყიდა,

ქართველ კაცს ღალატს დასწამებ,

ვაჭართან წილი გაგიჩნდა,

სამშობლო შენთვის სუფრაა,

ადგილი გერგო კუთხეში,

ცდილობ რო ახლოს მიხვიდე,

შეგხვდეს მოდიდო ლუკმები,

ქართველები კი ამაყად ვდგავართ

ქართველის გვერდშია,

არ ვიყიდებით გიგილო,

ვდგავართ ერთურთის გვერდშია,

სამშობლოს სისხლით დავიცავთ,

ეს ცნება შენთვის უცხოა,

ქართველ კაცს ღალატს აბრალებ,

შენგან ეს არც თუ უცხოა...

არ გვჯერა შენი მისების,

ნათელი არის მიზნები,

ვიცით საითაც მიიწევ, საითაც მიიზნიქები,

ამოგიცანით სიტყვებში,

გაშიფრული ხარ მიზნებში,

დროა ითვალო, გიგილო,

კიდევ რამდენ ხანს იქნები?“

**გიო:** „რას თხოულობს ოპოზიცია: მიეცით ხალხს სამართლიანი არჩევნები; ნუ გააყალბებთ, ნუ ძალადობთ, ნუ მაიმუნობთო!

ვინც ამას არ ეთანხმება, იმ კაცს კაცი ჰქვია თუ ყაჩაღი?“

**ANONYMOUS:** „რას გავს ეს უპატრონო.“

**კაკო ყაჩაღი:** „ეეე, რასაცა ჰგავს, ზუსტად ის არა ყოფილა ეს რეგვენი? ეი, ტუტუც, რუსებს უკვე ყველაფერი მიჰყიდეთ, რაღა დარჩა გასაყიდი. ეგრე რამ (ან ვინძ გამოგაშტერა, შე უტვინოვ, ვერა ჰხედავ, რომ საქართველოში გასაყიდი აღარაფერი დარჩა?“

**ლოლიტა:** „შენც თუ კაცი გქვია, ლუზოი ვირი ნამდვილად გჯოზია. წვერი მაინც გაიპარსე შე უდღეურო, უკანალს ისედაც მიგიგავს სახე და ზედ წვერი? რაღაცის ასოციაციებს ტოვებ, კაცი რომ გიყურებს, შე ქათამო.“

**ნატა ნიბლაძე**

დაიჯესტი

## თეთრებმა კი დაიწყეს, მაგრამ აგებენ

ბოლო დროს ახალშობილ ამერიკელთა ნახევარზე მეტი არათეთრკანიან მშობელთა შვილები არიან.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული ბოლო აღწერის შედეგებით, ქვეყნის ისტორიაში პირველად თეთრკანიანზე მეტი ფერადკანიანი ბავშვი დაიბადა. 2011 წლის ივლისამდე ბოლო 12 თვის მანძილზე გაჩენილი ბავშვიდან 50,4 პროცენტი აფროამერიკული, აზიური ან ლათინოამერიკული წინაპრების მქონე ოჯახებში იშვა. შედარებისთვის ვიტყვით, რომ 20 წლის წინათ ეს მაჩვენებელი 37 პროცენტს არ აღემატებოდა.

აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში თეთრკანიანი მოსახლეობა ჯერჯერობით უმეტესობას (63,4 პროცენტს) შეადგენს. მაგრამ,ვარაუდობენ, რომ მოკლე ხანში თეთრკანიანები ეთნიკურ უმცირესობათა თანრიგში გადავლენ. საქმე ისაა, რომ ბოლო ოთხი წლის მანძილზე თეთრკანიანთა ახალშობილთა რიცხვი 11,4 პროცენტით შემცირდა, სხვა ეთნიკურ ჯგუფებში ეს მაჩვენებელი 3,2 პროცენტს არ აღემატება.

## ხმას მოფრთხილება უნდა

თუ ხმა დაგეკარგათ, არავითარ შემთხვევაში ჩურჩულზე არ გადახვიდეთ და თანამოსაუბრეს ხმადაბლა ნუ დაელაპარაკებით.

ჯერ ერთი, ხმის კუნთზე დატვირთვა ამით არანაკლებია, ვიდრე ჩვეულებრივი ლაპარაკისას. მეორეც ის, რომ ჩურჩულმა ადვილად მიჩვევა იცის, რის შემდეგ ნორმალური ხმის აღდგენა ადვილი არ არის — საამისოდ სპეციალური ვარჯიში დაგჭირდებათ. მართალია, უფრო ხშირად ასეთი რამ ბავშვებს ემართებათ, მაგრამ ბევრჯერ უფროსებსაც მოსდით, ვისაც ზედმეტად მობილური ნერვული სისტემა აქვთ.

კადრი



რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

ანეკდოტები

— მიხო, გაიგე, თურმე პარლამენტს ხურამენ.

— რას ამბობ, ჯო, რითვინაო?

— ამბობენ, ინტელექტუალური შესაძლებლობების ინვენტარიზაციისთვინაო.

— ჰო, მაშინ მალევე მორჩებიან.

* * *

— ალო, მიხო, შეგიძლია ლაპარაკი? — ურეკავს მარო.

— შემიძლია.

— მაშინ მისმინე!



* * *

— მიხო, საყვარელო, იცი, ბავშვი მინდა! — ეუბნება მარო.

მიხოს გაუხარდა და ამის მერე მაროსთვის არ დაურეკავს.

* * *

იძნება კი კომპლიმენტი ქალისთვის, თუ მისი დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ვეტყვით: „ძვირფასო, ოცი წლის წინათაც ისევე გამოიყურებოდი, როგორც ახლა“.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24